# ტალღა

თ ფ ი ლ ი ს ი

პარასკევი, 17 (29) ნოემბერი.

1906

წელიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან. ექვსი თვით 4 მან. ერთი თვით ქალაქში 70 კ. ქალაქ გარეთ 80 კ.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა სუფთათ იყოს გადაწერილი. დაუბეჭდავი სტატიები და ვრცელი წერილები ინახება რედაქციაში ერთი თვის განმავლობაში.

დაუბეჭდავი კორესპონდენციები და წვრილი წერილები რედაქციაში არ ინახებიან და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს. წერილობით პასუხისათვის საჭიროა 7 კ. მარკა.

დაუბეჭდავ წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმე დღეობით დილის 11—12 საათამდე.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კაპ. მეოთხე გვერდზე 10 კ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, რედაქცია „ტალღა".

№ 26

ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი   გ ა ზ ე თ ი.

№ 26



30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ტ ა ლ ღ ა"

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ რედაქციის კანტორაში—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა-უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით—ქალაქში 70 კ., პროვინციაში—80 კ.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА".

„ტალღის" რედაქცია სთხოვს საზოგადოებათ და დაწესებულებებს აგზავნონ ხოლმე რედაქციაში უწყებები თავიანთ სხდომებზე და კრებებზე დასასწრებლათ.

ხელისმომწერლების

საყურადღებოთ:

რადგან რედაქცია დაკეტილია და ადრესები შიდაა მოყოლილი, გაზეთებს დანიშნულებისამებრ ვერ გავგზავნით, ამიტომ ვთხოვთ ხელის-მომწერლებს, ვისაც ხვედრი ფული შემოტანილი აქვს, თავიანთი ადრესები შეგვატყობინონ.

თფილისის საკრებულოში

შაბათს, 18 ნოემბერს, ქართული დრამატიული დასის-მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველი ბუზი

კომედია 3 მოქ. ვ. გუნიას-მიერ გადმოკეთ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი 30 კ.-დან 1 მან.-მდე.

წარმოდგენის შემდეგ

მეჯლისი და ლოტო

რეჟისორი ვ. გუნია.

✦ დ ი ლ ი ს ✦

ქართული წარმოდგენა

სახაზინო თეატრში

კვირას, 19 ნოემბერს, დილით, ქართული დრამატ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სახალხო

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

მ უ ზ მ უ ზ ე ლ ა

კომედია 5 მოქმედ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

!!!! ადგილების ფასი დაკლებულია !!!!

დასაწყისი ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: „ბანკში", „ექიმი აშირბაჯიანი", „ლევან ეგოიძე", „ებრაელები", „ივან მირონიჩი".

რეჟისორი ვ. აბაშიძე

გამგე ვალერ. გუნია.

კვირას, 12 ნოემბერს, 12 საათზე

ტფილისში გაიხსნა

(ავათმყოფთა მიღება 13 ნოემბრიდან დაიწყება)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ტელეფონი № 481.

ავათმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

ექ. ტ. ი. კრუდენკო—შინაგანი სნეულებანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი—ქირურგ. სნეულებ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

ექ. მ. ი. იაჩნევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

ექ. ვ. ვ. მენუკოვი—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშაბ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

ექ. ნ. მ. ასპისოვი—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

ექ. ვ. ზ. ბოჟოვსკი—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

ექ. ა. ნ. თეთრაძე—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

ექ. ვ. ი. ინაევი—შინაგანი, ყოველ დღე 1—2 პარასკეობით 3—4 ს.

ექ. ა. ა. მონსი.—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

ექ. ა. ტ. კოზმაისკი—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

ექ. ნ. ი. ნეუიმინი—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთხშაბ., შაბათს 11—12.

ექ. ა. ა. ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

ექ. ჯ. ფ. მიხოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

ექ. კ. მ. პივარსკი

ექ. კ. ი. ჩუდნოვსკი კლინიკური ანალიზი.

ექ. ზ. ი. ოსოგკო—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.

კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12, ნიკოლოზის ქ. № 14.

ექიმი

მ. ი. მირზაშვილი

ხარკოვის საგუბერნიო საავათმყოფოს ყოფილი შტატის ორდინატორი. იღებს ავათმყოფებს ყოველ დღე შინაგან და თვალის სნეულებათა დილის 10—12 და საღამოს 5—7 ს. ბაგრატიონის ქუჩა № 15. ეგზარხოსის მოედანთან. წლ.

РУССКОЕ СЛОВО, იაკობ გოგებაშვილისა, ორივე ნაწილი ახლად დაიბეჭდა ზოგიერთა ცვლილებით და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის საზოგადოებაში. თუმცა წიგნების ბეჭდვა ერთი-ორად გაძვირდა, მაგრამ ფასი წინანდებურია: პირველი ნაწილი ყდიანად ღირს ორ აბაზად, მეორე ნაწილი—ათ შაურად. ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, 20% დაეთმობა... (3—3)


## სახელმწიფო დუმა და გლეხ-კაცობა

სტოლიპინის მთავრობა, რომელმაც ერთათ-ერთი ბრძოლის საშუალება იცის, შტიკები და სახრჩობელები, რომელმაც მთელი რუსეთი ერთ ვეებერთელა ციხეთ აქცია და სასამართლოები—სახრჩობელებათ, ეს მთავრობა კიდევ იმედოვნებს, რომ მას ხალხი მორჩილების თვალით შეხედავს და ისეთ დეპუტატებს გაუგზავნის, როგორიც მას მოესურვება. განსაკუთრებით იმედი აქვს მთავრობას სოფელში თავად-აზნაურობის, ქალაქებში მსხვილი კაპიტალისტების და შავრაზმელების. და რომ ამ ელემენტებს გამარჯვება მოუპოვოს არჩევნებში, მან ყოველი ღონე იხმარა მოწინავე ელემენტების შესასუსტებლათ. სოფლათ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ დგას გლეხკაცობა, უმიწა-წყლო, მშიერ-მწყურვალი, თავადებისაგან ათასჯერ ტყავ-გაძვრალი. ცხადია მათ შორის თანხმობა და „ერთობა" თავის-თავათ არ დამყარდება. ამიტომ საჭიროა ასეთ თანხმობის ხელოვნურათ შექმნა და მთავრობაც ცდილობს. პირველათ მან სოფლის გლეხ-კაცობას არჩევნების უფლება შეუზღუდა, სოფლის ყველაზე უფრო რევოლიუციონური და შეურიგებელი ნაწილია უმიწა-წყლო, ღატაკი გლეხ-კაცობა, რომელსაც სულს გარეშე არაფერი გააჩნია და აი ასეთები სენატის განმარტებით საარჩევნო უფლებით ვერ ისარგებლებენ. სოფელს ყავს თავისი შეგნებული ნაწილი, უმთავრესათ ქალაქებში გაზრდილი, ინტელიგენტები, ქალაქში მომუშავე მუშები, რომელთაც სოფელთან კავშირი არ გაუწყვეტიათ, რომელთაც სოფელში შემოაქვთ ქალაქის განათლება და აი ასეთებსაც სენატი—ეს ყურ-მოჭრილი მონა მთავრობისა, საარჩევნო უფლებებს უსპობს. ამნაირათ სოფელს აშორებენ საუკეთესო მებრძოლ ნაწილს, ასუსტებენ მის ძალას და ენერგიას საარჩევნო ბრძოლაში. მარა ეს როგორც ჩანს საკმარისი არ ყოფილა. სოფელში, როგორც ამტკიცებს თვით გუბერნატორების მოხსენება, მღელვარების სული გაბატონებულა; ახალ აზრებს შიგ გლეხის ოჯახებში მოუპოვებია მომხრეები და იქიდან ვრცელდება მთელ სოფელზე. ერთი სიტყვით, მთელი სოფელი განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმულა, ყველა გლეხი მისი მომხრე გამხდარა და ძველ მთავრობას, ხალხის მცარცველთ და ხალხის სულის ამომხდელთ ზიზღით და წყევლით იხსენიებენ.

დიახ, ძველმა მთავრობამ დაკარგა ყოველივე პრესტიჟი სოფლათ. ის უკვე ყველას მტრათ მიაჩნია და არა მთავრობათ, რომელიც უნდა ხალხისათვის ზრუნავდეს. მართალია მთავრობა ბევრ ოინბაზობას ხმარობს, ათასგვარ საშუალებებს და ღონისძიებებს იღებს, რომ ხალხს თავი-თავი „კეთილის მყოფელ" ანგელოზათ მოაჩვენოს, მარა ამაოთ. მიწების ჩამოჭრა დიდ ფასებში, მიწების და ტყის დარიგება მათთვის ციმბირსა და არხანგელ ვოლოგდის გუბერნიებში და ნადელების დაგირავების უფლების მინიჭება და სხვა ასეთი ზომები აშკარავებენ მხოლოდ ერთს: მთავრობას უნდა მოატყუოს გლეხობა, როგორც უფრო ნაკლებ შეგნებული. მთავრობას უნდა ისარგებლოს იმ სიბნელით, გაუნათლებლობით, გაუკუღმართობით, რომელსაც ის მთელი საუკუნოებით სთესდა ხალხში! მას უნდა მოიმკოს ნაყოფი თავის უკეთურ მოქმედებისა.

მაგრამ დრონი იცვალენ. გლეხკაცობას ნათელი სხივი მიუტანა. რაც მთავრობას შეშურდა მისთვის, რასაც მთავრობა უფრთხოდა, როგორც შავ ჭირს, ის ქალაქის მუშამ შეიტანა სოფლელ ძმათა ცხოვრებაში; მან გააცნო მათ თანამედროვე ცხოვრების უკუღმართობა, დაანახვა მთავრობის გარყვნილება და უსამართლობა. გლეხმაც აახილა თვალები და ამიერიდან მთავრობის იმედები მათზე ფუჭი ოცნებაა. უქმია ბ. სტოლიპინის ცირკულიარები, რომლითაც ის წინადადებას აძლევს საგუბერნიო უფროსებს (გლეხთა ბოქაულებია), გლეხების საარჩევნო ბრძოლას უხელმძღვანელონ და ამით სასურველი მიმდინარეობა მისცეს მას, ე. ი. მთავრობის მომხრეები აარჩევინოს. უქმია გუბერნატორების მოგზაურობა სოფლათ და ქადაგათ დავარდნა. ეს „ჩინოსანი მოქადაგენი" ნაყოფს ვერ მოიტანენ. გლეხებს მათი აღარაფერი სწამთ. გუბერნატორები მართლაც დადიან სოფლათ, ურჩევენ გლეხებს მთავრობის მოწყალება მიიღონ და მის ბრძანებლობას დაემორჩილონ. გლეხები პასუხს არ აძლევენო, იწერებიან კიევის გუბერნიიდან. „გლეხებმა ხმა-ამოუღებლივ გაისტუმრეს გუბერნატორიო", გვატყობინებენ სარატოვის მაზრიდან. ჩვენ ვიცით რას ნიშნავს ეგ სიჩუმე: თანხმობას თუ უარს; ჩვენ ვიცით, რადგან ასეთი სიჩუმით არა ერთხელ გაგვისტუმრებია ჩვენი სოფლებიდან ეს დიდებული „სპინი ჯილოსანნი". და თუ რუსეთში მაინც იმეორებენ ამ კომედიას—მთავრობის ქადაგათ დავარდნას—ეს იმიტომ, რომ იქ ჯერ არ უცდიათ. ჩვენში კი, აშკარაა, ასეთ ოინებს აღარ გაიმეორებენ. სიტყვიერი ჩაგონებით ჩვენი გლეხკაცობის დამშვიდების ხანა გავიდა; ეს მთავრობამაც შეიტყო. აქ მათ ხელში ერთად ერთი საშუალება და დარჩენიათ: ძალმომრეობა, მოსალოდნელია, რომ დიდი და პატარა თვითმპყრობელები, მაზრის უფროსები და პრისტავ-ურიადნიკები მთელ თავის „სამხედრო გამოცდილებას" იხმარებენ საარჩევნო ბრძოლაში გლეხების დასამარცხებლათ. ამიტომ ჩვენში ისეთივე მდუმარებით შეხვედრა, როგორც რუსეთში, შეუძლებელი იქნება. ჩვენთვის საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების მიღება ყოველგვარ მოსალოდნელ ხრიკების წინააღმდეგ. წარსული არჩევნების გამოცდილებით ვიცით, რომ პოლიცია ბევრ ასეთ ზომებს ხმარობს. გლეხებს ატყუებს და უფლებებს უკარგავს იქ, სადაც ისინი ძალათ არ მიდიან და არ თხოულობენ უფლებებს, მაგ. არა ერთგან და ორგან გამოუტოვებიათ გლეხები მიწათ-მფლობელთა სიებზე, ხშირათ არც კი შეუტყობინებიათ მათთვის სიების დღე; ბევრგან კაზაკ-სტრაჟნიკების შემწეობით დაუშინებიათ, თუ შეკრებილხართ, ტყვიებით დაგხვრეტთო. არა ერთსა და ორ სოფელში „პრისტავები" და მამასახლისები თვითონ ნიშნავდენ იმ გლეხებს, რომელნიც მათი ბრძანებით უნდა აერჩია გლეხებს რწმუნებულებათ და ამომრჩევლებათ. ემუქრებოდენ, დაგწვავთ, აგაწიოკებთ, თუ ესა და ეს კაცი, შენიშნული მთავრობისაგან და არაკეთილსაიმედო პირი აგირჩევიათო. თუ ასეთი საშუალებები იხმარეს წარსულ არჩევნებში, მით უმეტეს იხმარენ ამას ახლა, როცა მთავრობა ცირკულიარებით, ფარულ ბრძანებებით ყოველ დღე თხოულობს მათგან სასტიკ ზომების მიღებას ამომრჩეველთა წინააღმდეგ. ასეთია დღეს მდგომარეობა. ასეთ პოლიციურ პირობებში უხდება გლეხებს საარჩევნო კამპანიის წაყვანა. ასეთ მძიმე პირობებში უნდა დაიჭირონ მათ ეგზამენი პოლიტიკურ სიმწიფის და გამოცდილების. თუ წინეთ მთავრობა თვითონ სდევნიდა იმათ, ვინც არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა, ახლა ის, მთელ თავისს შავ-ბნელ ძალებს ატრიალებს რომ ხალხს გული გაუტეხოს, არჩევნებზე ხელი აღებინოს და ასე თავისი კანდიდატების გამარჯვება უზრუნველყოს. როგორ უნდა მოიქცეს გლეხკაცობა? მან უნდა სისწორით აასრულოს ის, რაც მკაფიოთ და ნათლათ გამოსთქვა გორის მაზრის გლეხთა დამფუძნებელმა კრებამ: „პოლიცია ყოველ ღონეს იხმარს ჩვენ შესაშინებლათ, შეიძლება ბევრს სასჯელიც მოგვაყენოს, მარა ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ციხის და ციმბირის, არ უნდა შეგვეშინდეს მთავრობის სასტიკი ზომების. უმსხვერპლოთ არ მოიპოვება თავისუფლება. არჩევნები კი ბრძოლაა თავისუფლებისათვის. ამიტომ, რაც უნდა ზომები მიიღონ მთავრობის მოხელეებმა, ჩვენ მაინც ჩვენი კანდიდატები უნდა ავარჩიოთ, ჩვენ მაინც ჩვენი დეპუტატები უნდა გავაგზავნოთ სახ. დუმაშიო". ასე ამბობდენ ორატორები კრებაზე, ასეთივეა კრების რეზოლიუცია ამ საგანზე. და ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი გლეხკაცობა პირნათლათ შეასრულებს თავის მოვალეობას, და ერთხელ კიდევ აშკარათ დაამტკიცებს თავის პოლიტიკურ სიმწიფეს და რევოლიუციურ სულის კვეთებას.

## პარტიის ცხოვრებიდან

ამ დღეებში რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში მოხდა სრულიად რუსეთის სოც.-დემ. კონფერენცია. კონფერენციაზე დაესწრო 34 დელეგატი შემდეგი ორგანიზაციებიდან (თითო დელეგატი 3500—5000 წევრზე): ბუნდის—7, პოლონეთის სოც.-დემოკრატიის—5, ლატიშთა სოც.-დემოკრატიის—3, ცენტრალური რაიონიდან—4, კავკასიიდან—3, ჩრდილოეთ კავკასიიდან—1, დონეცის კავშირიდან—2, ჩრდილო-დასავლეთის მხარიდან, ვოლგის ნაპირებიდან, ურალიდან, ციმბირიდან, შუა აზიიდან, უკრაინის საკოლკიდან (სოც.-დემ. კავშირი), პეტერბურგიდან, კიევიდან, ოდესიდან, ხარკოვიდან, ეკატერინოსლავიდან—თითო დელეგატი.

კონფერენციაზე შემდეგი კითხვები იყო დასმული: 1. საარჩევნო კამპანია; 2. პარტიული სიზდი; 3. შავრაზმელებთან და პოგრომებთან ბრძოლა. საარჩევნო კამპანიის შესახებ კონფერენციამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „რ. სოც.-დემ. მუშათა პარტია საარჩევნო კამპანიის დროს, გამოდის რა, როგორც დამოუკიდებელი კლასობრივი პარტია პროლეტარიატისა, ისახავს მიზნათ:

1. გაავრცელოს პროგრამა რევოლიუციონურ სოც.-დემოკრატიისა და შეაერთოს კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე ფართო მასსები პროლეტარიატისა.

2. აუხსნას ფართო მასსებს, რომ შეუძლებელია ხალხმა გამოსტაცოს უფლება თვითმპყრობელობას მშვიდობიანი გზით; გამოაქვეყნოს ბურჟუაზიულ-ოპოზიციურ პარტიების ტაქტიკურ მეთოდების და პროგრამულ ლოზუნგების ორპირობა, დაუპირდაპიროს მათ რევოლიუციური მეთოდები და მიზანი პროლეტარიატისა და ხელი შეუწყოს დემოკრატიულ ელემენტების რევოლიუციონურ ბრძოლის გზაზე გამოსვლას.

3) ჩაშალოს კონტრ-რევოლიუციონური პლანები რეაქციისა, რომელსაც სურს ჩაიგდოს ხელში დუმა, რომ მისი საშუალებით თავი მოუყაროს მონარქიის გარშემო საზოგადოების ჩამორჩენილ ელემენტებს.

4) ასწიოს მასსის პოლიტიკური თვითმოქმედება, და შემოკრიბოს რა რევოლიუციის ძალები, როგორც გარეთ, ისე დუმაში, გადააქციოს დუმა რევოლიუციის მძლავრ იარაღათ, გამოააშკარაოს, რომ სახელმწიფო დუმა უძლურია, როგორც კანონმდებლობითი დაწესებულება, სანამ არსებობს თვითმპყრობელი მონარქია და ამნაირათ დაამტკიცოს სრულუფლებიან დამფუძნებელ კრების მოწვევისთვის ბრძოლის საჭიროება.

II.

1) საარჩევნო აგიტაციაში სოც.-დემოკრატიული პარტია ყოველგან დამოუკიდებელი პარტიული პლატფორმით მოქმედებს;

2) თანახმათ შემაერთებელი სიეზდის დადგენილებისა უარყოფილია ყოველნაირი კავშირი სხვა პარტიებთან, რომელიც ხელს შეუკრავს პარტიას ან ცალკე პარტიულ ჯგუფებს მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში;

3) მუშათა კურიებში არჩევნების დროს უარყოფილია პირველ სტადიაზე ყოველნაირი კერძო ან ადგილობრივი შეთანხმება იმ პარტიებთან და ჯგუფებთან, რომლებიც არ დგანან პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე.

4) ყველა დანარჩენ კურიებში თუ საარჩევნო კამპანიის დროს გამოითქვა, რომ თუ მოსალოდნელია მემარჯვენე პარტიების კანდიდატების გასვლა, შეიძლება შეთანხმება ადგილობრივი პირობების მიხედვით რევოლიუციონურ და ოპოზიციონურ დემოკრატიულ პარტიებთან ცენტრალური დაწესებულებების საზოგადო კონტროლის ქვეშ. მაგრამ ყოვლათ შეუწყნარებელია პარტიული ორგანიზაციების, ან კანდიდატების მიერ პრინციპიალური დათმობა შეთანხმებულ ჯგუფების სასარგებლოთ.

5) ფორმა ასეთი შეთანხმებისა უნდა შეეფერებოდეს ადგილობრივ პირობებს და შეიძლება გამოიხატოს როგორც კანდიდატურების ტერიტორიალურ განაწილებაში რომელიმე საარჩევნო ოლქში, ისე ამომრჩევლების საზოგადო სიების შედგენაში.

შენიშვნა. ამასთანავე უნდა ვეცადოთ, რომ საზოგადო სიები შედგეს უკანასკნელ მომენტში არჩევნების წინ, როდესაც საარჩევნო აგიტაცია უკვე თავდება.

—

**შტუტგარდის კონგრესის შესახებ.** 10 ნოემბერს (ახალი სტილით) ბრიუსელის სახალხო სახლში (la Maison du Peuple) ანზელეს თავმჯდომარეობით მოხდა ინტერნაციონალური სოციალისტური ბიუროს კრება. კრებას დაესწრო სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები საფრანგეთიდან, ინგლისიდან, რუსეთიდან, დანიიდან, შვეიცარიიდან, გოლანდიიდან, ბელგიიდან, ბოჰემიიდან, პოლშიდან და ბალტიის მხრიდან. სხდომაზე გაირჩა კითხვა ინტერნაციონალური სოციალისტურ კონგრესის შესახებ, რომელიც უნდა მოხდეს მომავალი წლის აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში. ინტერნაციონალური ბიუროს მდივნისაგან წარმოდგენილი იყო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი იმ პირობების, რომლებითაც ორგანიზაციებს


ქ. მარქსის სახ. ... სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ნება ეძლევათ კონგრესზე მონაწილეობა მიიღონ.

კონგრესზე მონაწილეობის მიღება შეუძლია: 1) ყველა ორგანიზაციებს, რომელნიც ატარებენ სოციალიზმის ძირითად პრინციპებს: წარმოების საშუალებათა და გაცვლა-გამოცვლის განსაზოგადოებრივებას, პროლეტარული ბრძოლის ინტერნაციონალობას, სახელმწიფოებრივ უფლებების დაპყრობას ორგანიზაციულათ მოწყობილი პროლეტარიატის პარტიის მიერ; 2) ყველა კორპორაციები, რომელნიც ხელმძღვანელობენ კლასობრივი ბრძოლის თვალთა ხედვის ისრით და აცხადებენ, რომ საჭიროთ მიაჩნიათ პოლიტიკური, კანონმდებლობითი და პარლამენტარული ბრძოლა, მაგრამ პირდაპირ მონაწილეობას პოლიტიკურ ბრძოლაში არ ღებულობენ. იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც მონაწილეობის უფლება არ მიეცემა, ნება აქვთ მიმართონ ინტერნაციონალურ სოციალისტურ ბიუროს.

შემდეგ მდივანმა აღმასრულებელი ბიუროს სახელით წარადგინა შემდეგი დღის წეს-რიგი, რომელიც დებატების შემდეგ ბიუროსაგან მიღებულ იქნა: 1) ინტერნაციონალური ბიუროს მოხსენება; 2) კონგრესის რეგლამენტი და ინტერპარლამენტარული კომისია; 3) მილიტარიზმი და საშუალებანი საერთაშორისო შეტაკების თავიდან ასაცილებლათ; 4) დამოკიდებულება სოციალისტურ პარტიებსა და პროფესიონალურ ორგანიზაციებთა შორის; 5) კოლონიალური საკითხი; 6) მუშათა ემიგრაცია. ხმის უფლება კონგრესზე ექნება თვითეულ წარმომადგენელს, ხოლო თუ სამი ნაცია გამოთქვამს სურვილს, მაშინ კერძო შემთხვევებში შესაძლებელია ხმის მიცემა მოხდეს ნაციების მიხედვით. ცალკე ნაციათ ითვლება ისეთი ნაცია, რომელიც ექვემდებარება ერთ და იმავე მთავრობას. მაგრამ კერძო შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყოს როგორც ცალკე ნაცია ის აგლომერატები (კრებულები), რომელნიც ყველა თავიანთი ტრადიციების და სულიერი ერთიანობის მიხედვით შესაძლოა ავტონომიურ ერთეულებათ იყვნენ ცნობილნი. იმ პირობების შესახებ, რომელნიც საჭირონი არიან, რომ კონგრესზე მონაწილეობის მიღება შეიძლებოდეს, როცა ამას თხოულობს ერთი და იგივე ქვეყნის რამდენიმე ორგანიზაცია, ბიურომ დისკუსიების შემდეგ ასეთი რეზოლიუცია მიიღო: თვითეული ქვეყნის ან ნაციის ორგანიზაციები ადგენენ სექციებს, რომელმაც უნდა გამოთქვას აზრი იმის შესახებ, მიეცეს თუ არა ნება კონგრესზე მონაწილეობის სხვადასხვა ნაციების ყველა ორგანიზაციებს. იმ შემთხვევაში, როცა სექცია ვერ შეთანხმდება მანდატების განაწილების საქმეში, მაშინ ამ განაწილებას მოახდენს ინტერნაციონალური ბიურო. მანდატების განაწილებას საფუძვლათ უნდა დაედვას ორგანიზაციის წევრთა რიცხვი და ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვი; ერის მნიშვნელობა; კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციების განვითარება; პოლიტიკური მნიშვნელობა სოციალისტური პარტიის ანუ პარტიის.

## საარჩევნო კამპანია

მთავრობას გადაუწყვეტია, რომ მომავალ არჩევნების დროს არც ერთი პარტია, გარდა მონარქიულისა და 17 ოქტომბრისა, ლეგალურათ ცნობილი არ იქნეს. ყველა გუბერნატორებს დაეგზავნათ ცირკულიარული მიწერილობა, რომ საგანგებო ყურადღება მიაქციონ მემარცხენე პარტიებს და მონარქიული პარტიის სახელით მათ კრებები არ გამართონ.

როგორც სჩანს მოსკოვის, იაროსლავის, ნოვგოროდის და სხვ. გუბერნატორების მოხსენებიდან ამომრჩეველთა რიცხვი ამ საარჩევნო კამპანიის დროს ძალიან შემცირებულა, მაგალითათ მოსკოვს დაკლებია $^1/_3$, ნოვგოროდს $^1/_4$ და იაროსლავს $^1/_5$. ეჭვი არ არის სხვა გუბერნიებშიც ასე იქნება. ამასთან, როგორც იაროსლავის გუბერნატორი იუწყება, ყველა საარჩევნოს უფლებას მოკლებულნი შარშანდელ საარჩევნო კამპანიის დროს მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიებს უჭერდენ მხარს.

ვოლოგდიდან „ტოვარიშჩს“ ატყობინებენ, რომ საარჩევნო კამპანია კიდევაც დაწყებულა. ფარული ორგანიზაციების მუშაობა ჭარ-ჭართობით ფარულათ მიდის, სამაგიეროთ მთავრობის მომხრე პარტიები ყოველ დღე კრებებს კრებაზე მართვენ თურმე. მიტინგებზე შავრაზმელთა აგიტაციები საშინლათ ლანძღვენ ყოფილ დუმას და ურჩევენ ხალხს აღარ გაიმეორონ შარშანდელი შეცდომები. მიტინგებს, გარდა პროკლამაციებსაც ბევრს ავრცელებენ, რომლებშიაც კიდევ იაპონიის მილიონებს აბრალებენ რუსეთის რევოლიუციას, მაგრამ, როგორც სჩანს, ამ შავრაზმელ ვაჟბატონებს დიდი გასავალი აღარ ქონიათ ხალხში და მათ დღითი დღე იმედი ეცრუებათ.

ს.-რ.-ს პარტიის საბჭოს გადაუწყვეტია მონაწილეობა მიიღოს როგორც არჩევნებში, აგრეთვე დუმაშიაც. მონაწილეობა, რამდენათაც შეიძლება, აშკარათ უნდა იქნას მიღებული და არა ფარულათ. ბლოკის დაჭერა შეიძლება მარტო იმ პარტიებთან, რომელთა პროგრამა ს. რ. პარტიის პროგრამას უახლოვდება. პარტია უფლებას იტოვებს თუ საჭიროთ დაინახავს ბოიკოტის გზასაც დაადგეს გარემოებათა მიხედვით.

ამავე საბჭომ სასტიკათ გაკიცხა კერძო ექსპროპრიაციის მომხრეობა, რადგანაც ასეთ საქციელს დემორალიზაცია შეაქვს პარტიაშიო. თუ ეგრეთ წოდებული მაქსიმალისტები მოისურვებენ პარტიაში შემოსვლას, ამბობს საბჭო, საჭიროა ისინი დაექვემდებარებიან საერთაშორისო სოციალიზმის მოთხოვნებს, როგორიცაა კერძო ექსპროპრიაციის უარყოფა, პარლამენტარიზმის აღიარება და მუშათა კლასის ინტელიგენციის წინააღმდეგ ამხედრების თავის დანებება(?).

ოლგოპოლის საერობო კრებამ უარი განაცხადა იმ მოიჯარადრების საარჩევნო სიაში შეტანაზე, რომელთაც იჯარით აქვთ აღებული უძრავი ქონება ისეთი მესაკუთრეებიდან, რომლებიც თითონ იღებენ მონაწილეობას არჩევნებშიო. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განუმარტავს, რომ ასეთი მოიჯარადრეები მაინც უნდა იქმნას სიაში შეტანილი, თუნდაც მათ მიერ იჯარით აღებულ მამულის მესაკუთრეები მონაწილეობას იღებდენ არჩევნებში.

## ახალი ამბები

◆ ოთხშაბათს, 15 ნოემბერს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა ერთი პოლიტიკური საქმე. პასუხის-გებაში მიცემული იყო სარაკამიშში მდგომ ელისავეტოპოლსკის პოლკის **პორუჩიკი დავით ერდიშხანის ძე ქარცივაძე.** ქარცივაძე გასულ წელს დეკემბერში 2 თვით სამსახურიდან თავისუფალი იყო და საერთო გაფიცვის დროს მოყვა გურიაში, სადაც იგი დააპატიმრეს, სამსახურიდან გამორიცხეს და პასუხის-გებაში მისცეს. ბრალს სდებდენ, ვითომც მან მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო, როგორც შეიარაღებულ აჯანყების ერთ მეთაურთაგანმა. საქმის გარჩევა დახურულ კარებში მოხდა. საქმის გარჩევამ საღამოს 5 საათამდე გასტანა. სხვათა შორის გამოჰკითხეს „ცნობილს“ ბოქაულს მახარაძეს და ოზურგეთის მაზრის „ცნობილ“ დარაჯს მგელაძეს და სხვათ. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი მ. ო. გრუზენბერგი. სასამართლომ კარგა ხანს თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დავით ქარცივაძე დამნაშავეთ იცნეს აღნიშნულ ბრალდებაში და გადაუწყვიტეს ყოველისავე უფლება-ღირსებათა ჩამორთმევა და 4 წლით კატორგაში გაგზავნა.

◆ ამ დღეებში **ადესის ქალაქის თავმა** თანახმათ ადესის ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, თფილისის ქალაქის თავს სთხოვა—წინადადება მისცეს თფილისის ქალაქის საბჭოს, მხარი დაუჭიროს ადესის ქალაქის საბჭოს დადგენილებას, რომ თუ მთავრობა ნებას არ დართავს საქალაქო დებულების შეცვლისას და საარჩევნო უფლების გაფართოებისას, რუსეთის ყველა ქალაქის თვითმართველობანი შესწყვეტენ მოქმედებას, რადგან დღევანდელ პირობებში ქალაქის თვითმართველობათ მოქმედება არ შეუძლიათო. გუშინ თფ. ქალაქის მოურავმა აცნობა ადესის ქალაქის გამგეობას, რომ თფილისის ქალაქის საბჭომ კარგა ხანია შეიმუშავა ახალი საქალაქო დებულება და უკვე ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობას წარუდგინა, მაგრამ ქალაქის შუამდგომლობა უარყვეს და საბჭომ საყვედური მიიღო ასეთი მოქმედებისათვისო.

◆ თფილისის გუბერნიის **სახალხო სკოლების** დირექტორმა გუშინწინ შეატყობინა თფილისის ქალაქის გამგეობას, რომ დირექცია თანახმაა დროებით, ვიდრე გენერალ-გუბერნატორისაგან ცნობა მოვა მათ კეთილ-საიმედობაზე, ჩაირიცხონ ქალაქის პირველდაწყებით სკოლების მასწავლებლებათ ევგენია პოპოვი, ნინო დიდია, ანნა რცხილაძე, მარიამ ნაზარაპეტოვი, სოფიო მამიკონიანი, ნატალია მარმარჩევი და ანნა არდაზიანი.

◆ **შიმშილობა ფოთის სატუსაღოში.** ნოემბრის პირველ რიცხვებში ფოთის ყველა ტუსაღებს გამოუცხადეს გარნიზონის უფროსის მოწერილობა, რომლის ძალითაც ტუსაღებს ენიშნებოდათ კვირაში ოთხჯერ ნახვა (свиданіе), (წინეთ კი ნახულობდენ ყოველ დღე ციხის უფროსის ნება-რთვით) და ნახვის ნებართვა ხელ-მოწერილი უნდა ყოფილიყო გარნიზონის უფროსისაგან. ტუსაღებმა ამაზე პროტესტი განაცხადეს, მაგრამ განკარგულება ძალაში მოიყვანეს. ყველა ამას 4 ნოემბერს მოყვა ტუსაღთა საერთო გაფიცვა, გაფიცვა დროებით შეაჩერეს და პროკურორს დეპეშა გაუგზავნეს და გადასწყვიტეს არ მიიღონ მნახველები პროკურორიდან პასუხის მიღებამდის. 12 ნოემბერს მოვიდა პასუხი პროკურორისაგან, რომელიც იტყობინება, რომ საქმე გადაეცა გენერალ-გუბერნატორს განკარგულების მოსახდენათ. ასეთ პასუხს ყველა ტუსაღებმა, როგორც პოლიტიკურებმა, ისე „უგოლოვნებმა“ საერთო შიმშილობა გამოუცხადეს. გარდა ნახვის ძველი წესის დაბრუნებისა თხოულობენ ხარჯის ფულს 16 კაპ. დღიურს 12 კაპ. ნაცვლათ. ამნაირათ 13 ნოემბერს დაწყებული შიმშილობა გრძელდება, რასაც მტკიცეთ უჭერენ მხარს ყველა ტუსაღები.

◆ როგორც გავიგეთ, რკინის გზის **ტეხნიკურ სასწავლებლების** პირველ კლასის შეგირდებმა სკოლის უფროსს ლევიცკის მიართვეს პეტიცია, რომლითაც სთხოვენ, რომ მეორე და მესამე კლასში სწავლა დაიწყონ. ეს სასწავლებელი აგვისტოდან დახურულია. პირველ კლასში სწავლა დაიწყო პირველ ნოემბერს.

◆ გუშინ 12 საათზე და 35 წამზე ელექტრონის ტრამვაის ვაგონი № 47 ვერის ხიდზე კანდუქტორის მეოხებით დაახლოებით ათი წამი გაჩერდა. საქმე ასე იყო: ვილაცას ვაგონიდან გადმოსმა სურდა კონდუქტორს. მგზავრს ბილეთი ხელში ქონდა, მაგრამ კანდუქტორს ეს კაცი არ მიყავდა და გაყვიროდა მაგას არ წავიყვან, რადგანაც შეურაცყოფა მომაყენაო, საჭიროა კანდუქტორებმა ასეთ ამბებს მიაქციონ ყურადღება.

◆ პარიკმახერების ქარგლების კავშირი აცხადებს, რომ **ბოიკოტს** ხსნიან ეფრემ ჩიტაიშვილს, როგორც ხაზეინს. და ამასთან ერთათ ვხსნით ბოიკოტს, ამხანაგს ქარგლებს, რადგან ისინი ასრულებენ მე-4 მუხლს კავშირისას.

◆ **კახეთიდან გვწერენ,** რომ ზოგიერთ სოფლებში მცხოვრებთა შორის მეტათ გაიდგა ფეხი შურმა და გაუტანლობამ ხშირად ერთი მეზობელი მეორეს სრულიად გადასაწვავათ არ ზოგავს. ამ დღეებში სოფელ შილდის მცხოვრებ ოქრუა ოთარაშვილის ვენახში შეპარულან ვილაც ბოროტ-განმზრახველნი, და 3000 ძირი ვენახი მოუჭრიათ.

◆ კახეთის **სოფელ ყვარელიდან,** გვატყობინებენ, რომ ვილაც უცნობს გაუტეხია ყვარელის ბოქაულის კანცელარია და გაუტაცნია სახაზინო თოფი. ბოქაულს კარგა ხანს ძებნის შემდეგ მიუგნია თოფის წამლები და პასუხის გებაში მიუცია.

◆ **თფილისის ქალაქის გამგეობამ** საარჩევნო სიების შესადგენად გარეშე პირთაგან მიიწვია ამ ერთი კვირის წინეთ 36 კაცი. გუშინ, 16 ნოემბერს უკვე დაასრულა სიების შედგენა ბიურომ, მალე სიების ბეჭვდას შეუდგებიან და სიებს ამ დღეებში გამოაქვეყნებენ.

◆ თფილისის საბჭოს **ხმოსანმა არშაკ ბაბთვმა,** რომელიც რუსეთში იმყოფება, გუშინ თფილისის ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ცნობილი ბრიანსკის ქარხანა კისრულობს მუხრანსკის ხიდის გაკეთებას იმ პირობით, თუ ქალაქი კუთვნილ ფულს 4 წლის განმავლობაში გადაუხდისო.

# ფელეტონი

—:—

### რევოლიუციონური ტაქტიკის შესახებ
### ძალა და ძალდატანება

გ. პლეხანოვისა

თარგმანი რუსულიდან.

**წინასიტყვაობა**

1894 წელს, როდესაც საფრანგეთის ანარქისტების „საქმით პროპაგანდის“ გამო მთელი განათლებული კაცობრიობა აღშფოთებული იყო და როდესაც გერმანიის სოციალდემოკრატიული „ფორშტანდ“-ის (მართველობის) მონდობილობით მე დავწერე ბროშიურა „სოციალიზმი და ანარქიზმი“, მოხუცმა ლიბკნეხტმა მირჩია ჩვენი გერმანელი ამხანაგების ცენტრალური ორგანოსთვის წერილი დამეწერა რევოლიუციონური ტაქტიკის შესახებ. მე სიამოვნებით აღვასრულე მონდობილება და გაუგზავნე ლიბკნეხტს წერილი; „ძალა და ძალდატანება“, რომელიც მალე დაიბეჭდა „ფორვერტსში“. ლიბკნეხტმა წერილით მაცნობა, რომ მას ეს წერილი ფრიად მოეწონა. იტალიელმა ამხანაგებმა იგივე წერილი თავიანთ ენაზე გადათარგმნეს. ახლა ეს წერილი ამხანაგმა ზ.-მ რუსულად თარგმნა და მთხოვა მისი გადათვალიერება. რადგანაც ჩემი წერილი თავდაპირველ ფრანგულათ დაიწერა, შემდეგ გადათარგმნეს იგი ნემეცურად, მერმე ნემეცურიდან იტალიანურზე გადათარგმნა და იტალიანურიდან რუსულზე, მოსალოდნელი იყო დედანი სავსებით დაცული ვერ იქნებოდა. ამიტომაც მე ხალისით შევასრულე ამხანაგ ზ.-ს თხოვნა.

რადგან იმ დროს, როცა მე ამ წერილს ვწერდი, ანარქისტული ტაქტიკა ყველას ენაზე ეკერა, მე ჩემი აზრის დასასაბუთებლათ ხშირად მივმართავდი ხოლმე ამ წერილს. დასავლეთ ევროპისათვის იმდენათ საჭირო აღარაა დღეს აღნიშნულ წერილზე მივაქციო ხოლმე მკითხველის ყურადღება, რადგან იქ ანარქიზმი ჩაჩუმდა. რუსეთში კი ეს უადგილო არ არის, რადგან ანარქიზმი, რომელსაც ეელიზოვმა თავის სიტყვაში სრულიად სამართლიანათ უწოდა შეცდომა ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის უმწიფრობისა—ჩვენ სამშობლოში ხელახლა ვრცელდება. საჭიროა ჩვენმა შეგნებულმა მუშებმა იცოდენ, რაშია ძირითადი განსხვავება ანარქისტული და ჩვენი ტაქტიკის შორის. როცა ჩვენი შეგნებული მუშები ამას გაიგებენ, მაშინ იგინი იმასაც ადვილათ მიხვდებიან, თუ რატომ არ მომწონს მე ჩვენი ყოფილი „ბოლშევიკების“ ტაქტიკაც. ბოლშევიკების ტაქტიკაში მარქსიზმი ძლიერ ცოტაა; სამაგიეროთ ბევრია იქ ბლანკიზმი და ანარქიზმიც კი.

ყოფილი „ბოლშევიკების“ აზრით მე იმის ზედგავლენის გამო, რაც დღეს ჩვენ ცხოვრებაში ხდება, იმ ტაქტიკას აღარ ვიცავ, რომელსაც წინად ვიცავდი. ამით „ბოლშევიკები“ იმას ამტკიცებენ, რომ მათ არ იციან, როგორი იყო ჩემი უწინდელი ტაქტიკური შეხედულებანი. წაიკითხეთ ეს ბროშიურა და დარწმუნდებით, რომ მაშინაც, როცა მე მას ვწერდი—ეს იყო, როგორც ვთქვი, 1894 წელს—სოციალდემოკრატიულ ტაქტიკას სწორეთ ისე უყურებდი, როგორც დღეს: აქ წვრილმანებშიაც არაა განსხვავება. მეტად ნასიამოვნები დავრჩი, როცა დავრწმუნდი, რომ ლიბკნეხტი და იტალიელი მარქსისტები ამ კითხვაში თანახმა გამიხდენ. არა ნაკლებ მიხარია, როცა ვხედავ, რომ იგივე ჩემი შეხედულება არ მოსწონს ლენინის მიმდევრებს. ორივე ეს ერთი მეორის წინააღმდეგი გარემოება მეტად უტყუარი მაჩვენებელია იმის, რომ ჩემი შეხედულება ჭეშმარიტია.

გ. პლეხანოვი.

—

როგორი უნდა იყოს სოციალისტების ბრძოლის ტაქტიკა მუშათა კლასის სრული განთავისუფლებისათვის?

ყველასათვის ცხადია, რომ ამ ტაქტიკაზე აუცილებლად ზედგავლენა აქვს ადგილობრივ პირობებს. მაგრამ სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, როგორც საერთაშორისო პარტიამ, მიუხედავათ დროის, ადგილის და გარემოებათა სხვადასხვაობისა უნდა შეიმუშაოს ზოგიერთი საერთო უცვლელი წესები.

გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ საერთაშორისო სოციალისტურ პარტიის საბოლოო მიზანზე; ჩვენ სახეში გვაქვს მისი ტაქტიკა ანუ, თუ გნებავთ, მისი საშუალებები. მიზანი და საშუალება სულ სხვადასხვა რამაა. მართალია, საშვალება მიზანს უნდა შეეუხამოთ; ვინც ელტვის რომელიმე მიზანს, მან ამ მიზნის შესაფერი საშუალებით უნდა ისარგებლოს; მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა პარტია ისეთ საშუალებებს მიმართავს ხოლმე, რომელნიც სრულიად არ შეეხამებიან მის მიზანს. ასეთ შეცდომებს სოციალიზმის ისტორიაშიაც შეხვდებით. რობერტ ოუენი და ფურიე, უეჭველია, სოციალისტურ მიზანს ელტვოდენ, მაგრამ ამ მიზნის მიხწევას იგინი მშვიდობიანი გზით ლამობდენ. ეს წინააღმდეგობა საშუალებათა და მიზანს შორის ფრიად სუსტი მხარეა უტოპიური სოციალიზმის. ჩვენი სოციალიზმი ღირსი არ იქნებოდა მეცნიერული სოციალიზმის სახელის—და რომ ასეთია ჩვენი სოციალიზმი, ამას დღეს ჩვენი მოწინააღმდეგეებიც ვერ უარყოფენ—რომ ჩვენ ასეთივე შეცდომა ჩაგვედინა და ჩვენ მიზნებსა და საშუალებებს შორის ყოფილიყო ისეთი წინააღმდეგობა, რომელსაც აქ ადგილი არ უნდა ქონდეს.

ჩვენი მიზანი რევოლიუციონურიაო, რომ ვიძახოთ, ეს ბევრს არას ნიშნავს. მართალია კაცობრიობას ჯერ არ ქონია ისეთი რევოლიუციონური მიზანი, როგორიც არის ჩვენი მიზანი, მართალია ეს ურევოლიუციონერესი მიზანია; მაგრამ საჭიროა, რომ საშუალებებიც ასეთი მიზნის შესაფერი იყოს და სრულიად შეეხამებოდეს მის შინაგან ბუნებას; საჭიროა, რომ საშუალებებიც ყველა საშუალებათა შორის, რომელნიც ოდესმე ხმარებაში ყოფილან, ურევოლიუციონერესი იყოს.

* *

მაშ როგორი უნდა იყოს ეს საშუალებანი?

ანარქისტები გვიპასუხებენ: „რევოლიუციონურია ისეთი საშუალებები, რომელნიც არიან უკანონონი. სანამ თქვენ დაყრდნობილი იქნებით არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე, სანამ თქვენი არჩეულები იმის ცდაში იქნებიან, რომ მუშათა კლასისთვის ბურჟუაზიას ხელიდან გამოსტაცონ ესა თუ ის რეფორმები, სანამ, თქვენ იძულებული იქნებით ანგარიში გაუწიოთ კანონებს, რომელთა წყალობით მოკლებული ხართ სიტყვის თავისუფლებას ან სხვა რომელიმე მოქმედების უფლებას, თქვენ არაფერი საერთო არ გექნებათ რევოლიუციასთან; მანამდის თქვენ იქნებით კანონმდებელი და მშვიდობიანი რეფორმატორები“.

„რევოლიუციონური მოქმედება იწყება მხოლოდ იქ, სადაც ირღვევა კანონი; მაშასადამე, ის იწყება აჯანყებით, ერთი კაცის, ან მთელი მასსის ძალდატანებითი მოქმედებით და რამდენათაც მეტი მიდრეკილება გექნებათ აჯანყებისა და ძალდატანებითი მოქმედებისადმი, იმდენათ მეტი რევოლიუციონერი გახდებით“. აზრი სავსებით მკაფიოა, მაგრამ ჭეშმარიტია კი იგი? მაგრამ გავარკვიოთ ეს.

უპირველესად ყოვლისა აქ ჩვენ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ანარქისტების აზრით რევოლიუციონური საშუალებები და ძალდატანებითი მოქმედება ერთი და იგივე საგანია. მაგრამ რაზეა დამყარებული ასეთი ერთგვარობა, ასეთი მსგავსება?

უფრო რევოლიუციონურ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს ისეთი საშუალება, რომელიც შედარებით სხვა ყველა საშუალებებთან უმეტესი სისწრაფით მიგვახწევინებს ჩვენ მიზანს, რევოლიუციას. თუ ეს აზრი ჭეშმარიტია—და ამ შემთხვევაში ყოველი ეჭვი უადგილოა—მაშინ ამ ჭეშმარიტი აზრიდან ჩვენ შემდეგი დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ.

1. შესაძლებელია ისეთი რევოლიუციონური მოქმედება, რომელსაც შორეული მსგავსებაც არ აქვს აჯანყებასთან, ძალდატანებითი მოქმედებასთან.

2. აჯანყება და ძალდატანებითი მოქმედება ყოველთვის ანტირევოლიუციონურია (რევოლიუციის შემაფერხებელი) თუ რომ ეს გვაშორებს რევოლიუციის იმის მაგიერ, რომ რომ მიგვაახლოოს მასთან.

ბრმა თუ ვერ დაინახავს, რომ ანარქისტულ ძალდატანებით მოქმედება სწორეთ გვაშორებს ჩვენ მიზანს.

მოახერხებენ თუ არა ანარქისტები, რომ სადმე ყუმბარა გადააგდონ, წააქეზებენ თუ არა იგინი გაფიცულებს ძალდატანება მოახდინონ, ყველა მათ მოქმედებას ერთი შედეგი მოჰყვება: რეაქციის გაძლიერება, ესე იგი, ახალი დაბრკოლებების შექმნა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. ანარქიული მოქმედება, რაგინდ ძალდატანებითი იყოს იგი ანტირევოლიუციონური მოქმედებაა სხვა არაფერი..

* *

ძნელი არაა იმის გაგება, თუ რაში მდგომარეობს იმ ჭეშმარიტების სიყალბე, რომლის გამო ანარქისტებს გონიათ, ვითომ მათი ძალდატანებითი მოქმედებები შეიცავენ სრულიად იმის წინააღმდეგ რამეს, რაც სინამდვილეს შეადგენს.

ავიღოთ მაგალითათ რომელიმე რევოლიუცია, ვთქვათ მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისის რევოლიუცია, ან მეთვრამეტე საუკუნის, 1834 და 1848 წ. წ. რევოლიუციები. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ამ რევოლიუციებში სისხლის ღვრას, აჯანყებას, ბარიკადებს, ხოცვა-ჟლეტას, შეიარაღებულ შეტაკებას დიდი ადგილი ეჭირა. აი რას შეყავს ანარქისტები შეცდომაში; ამ ფაქტების მიხედვით ანარქისტები ასე მსჯელობენ:

„რაკი ყოველი რევოლიუცია ძალდატანებით მომხდარა, მაშ საკმარისია ძალდატანება ვიხმაროთ, რომ გამოვიწვიოთ ან დავაჩქაროთ რევოლიუცია“.

ამ შემთხვევაში ანარქისტები გვაგონებენ კაცს, რომელიც მსჯელობს ასეთნაირათ: „რაკი ყოველჯერ, როცა წვიმა მოდის იძულებული ვართ ქოლგა გავშალოთ, საკმაოა ქოლგა გავშალოთ, რომ წვიმა მოვიდეს“, ანარქისტების მთელი ტაქტიკა ამ საკვირველი სოფიზმის გარშემო ტრიალებს. ამ სოფიზმის კარგი მხარე მხოლოდ იმაშია, რომ ცხადათ ამტკი-

◆ ხმოსნებმა ნ. ოსტროვსკიმ და ი. თ. ტიგრანოვმა თფილისის ქალაქის თვითმართველობას განუცხადეს დღეიდან ხმოსნობის თანამდებობაზე უარს ვაცხადებთო.

◆ 16 ნოემბერს დღის პირველ საათზე საცენზურო კომიტეტის ინსპექტორმა, ბოქაულის თანდასწრებით, გაჩხრიკეს გადლიას წიგნის მაღაზია კიროჩნის ქუჩაზე, მაგრამ საეჭვო ვერა იპოვნეს რა.

◆ 14 ნოემბერს ახალციხიდან თფილისში ჩამოსულა ვაჭარი მიკირტიჩ ბახჩიოვი, რომელსაც ერთი კაცი სადგურზე გასცნობია და წასულან ერთად სასტუმროში. გზაზე მათ წინ ვიღაც კაცს ვითომდა ფულიანი ქისა დავარდნია. ბახჩიოვს დაუყვირნია, არიქა წავიღეთ, გავიყოთო. ის უცნობს გაუჩუმებია, არ გაგვიგონონო. როცა მათ ცოტა მანძილი გაუვლიათ წამოსწევიათ ერთი კაცი და შეუძახნია, ეხლა ფულიანი ქისა დავკარგე და თქვენ იპოვნიდითო. ვაჭარი ბახჩიოვი გიჩხრიკეს ჯიბიდან 445 მან. ამოიცალეს და ორთავენი გადაიმალენ.

◆ თფილისის საკონტროლო პალატამ 600 მან. შეაწერა ხაზინის სასარგებლოთ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, რადგანაც იგი ღებულობს, როგორც დროებით ქალაქის თავი, მეტ ჯამაგირს და ეს თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ეთვლება ქალაქის თავს.!

◆ გუშინწინ, საღამოს 10 საათზე, აბასაბათის მოედანზე მცხოვრებ **შადინოვის სახლში** შევარდა სამი კაცი გასაძარცვავათ იმ დროს, როცა სახლში კაცთაგანი არავინ იყო. ქალებმა შექნეს ხმაურობა, მძარცველნი გაიქცენ.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი. ბირჟევოი ტრაკტირ „ოსტროვის“ პატრონს მამა ბაბილაურს კავშირმა მოსთხოვა, რომ მას მიეღო თავის ტრაკტირში ერთი ამხანაგი მეკიდებისგან გაგზავნილი, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებია მეკიდებისათვის. მაგრამ ტრაქტირის პატრონმა არ შეასრულა კავშირის კანონიერი მოთხოვნა. ამიტომ კავშირი უცხადებს მას **ბოიკოტს** და მოუწოდებს ყველა ამხანაგებს მხარი დაუჭირონ და არ გასტეხონ ბოიკოტი, სანამ არ დააკმაყოფილებენ ჩვენ კანონიერ მოთხოვნას.

ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

◆ 14 ნოემბერს ღამის 11 საათზე სურბ მინასის ქუჩაზე სამი კაცი წამოეწია ფოსტალიონს მელიქოვს და დაუწყეს ცემა. უცნობებმა ფოსტალიონს წერილებით სავსე ჩანთა ჩამოაგლიჯეს და გაიქცნენ.

# პროვინცია

**ჭიათურა.** 10 ნოემბერს სადითსა და რგვიას შუა, მე 26 ვერსზე შორაპნიდან, საფოსტო მატარებელს დაუხვდნენ რამდენიმე შეიარაღებულნი, დაახლოვებით ოცი, კაცი და აუტეხეს იქით-აქედან სროლა: მატარებელი რამდენიმე ზალპის შემდეგ გაჩერდა, სროლა კი გაგრძელდა ორმოცი წუთი. შემდეგ თავდამსხმელებმა უბრძანეს მგზავრებს უკანა ვაგონში გადადით, რადგან საფოსტო ვაგონს ყუმბარა უნდა ვესროლოთო. მგზავრები მართლაც გადავიდნენ უკანა ვაგონებში. მათთან ერთად გადავიდა უკანა ვაგონებშიც ფოსტალიონიც. თავდამსხმელნი ხალხს შეეკითხნენ: სალდათები ხომ არ არიან თქვენში ურევიო და პასუხათ მიიღეს—არაო. შემდეგ თავდამსხმელნი დარწმუნდნენ, რომ სალდათები ყველა დაჭრილია, საშიში აღარაფერიათ და ყუმბარა აღარ გადაუსვრიათ, ისე შევიდნენ ვაგონში; წაიღეს ფულიანი პაკეტები დაახლოვებით ოცდაერთი ათასი მანეთისა (21000) და წავიდნენ. წამსვლელებს ერთი კონდუქტორი შეეკითხა, წავიდეთ თუ არაო და მათაც დაუძახეს, ნება გაქვთო. მატარებელი დაიძრა და მხოლოდ სადითის სადგურზე გამოირკვა, რომ ხუთი სალდათიდან ოთხი იყო დაჭრილი მძიმეთ (რომელთაგან ორი კიდეც გარდაიცვალა), მგზავრთაგან მსუბუქათ დაიჭრა ორი, დაჭრილია მსუბუქათ აგრეთვე მაშინისტიც და მისი თანაშემწეც. დღეს ჭიათურაში ხალხი ეხვევა საფოსტო ვაგონს სანახავათ, რომელიც ვინტოვკისა და ბერდანის ტყვიებით არის დაცხრილული. წავიდნენ თავდამსხმელთა შესაპყრობათ სტრაჟნიკები და კაზაკები აქედანაც და ყვირილიდანაც. მთელიან ამ საქმეზე გენერალ-გუბერნატორს იაზიკოვს.

საზოგადოება ზიზღით უცქერის ამ სისხლის ღვრით გათავებულ „ექსპროპრიაციას“.

ივანიკა

—

**ლანჩხუთი.** 10 ნოემბერს, დილის ათ საათზე დაიბარეს მთელი ლანჩხუთის საზოგადოება და მოსთხოვეს „მავნე“ კაცების გაცემა. ხალხმა დაასახელა მავნე კაცები. როდესაც უფროსმა მავნე კაცთა სია წაიკითხა, განრისხდა. „ეს ხომ ქურდებია და ჩვენ ორგანიზაციის წევრებს გეუბნებითო. ქურდებთან ჩვენ საქმე არა გვაქვსო“ ღამის ათ საათამდე ხალხი ალყა შემორტყმული იდგა. ათ საათზე გაანთავისუფლეს, მაგრამ მეორე დილამდე. მეორე დილით ცხრა საათზე დაახლოვებით მთელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ბევრი იყო ქალი და ბავშვი. ხალხს ალყა შემოარტყეს. ვინც გარეშე სოფლის გაივლიდა, ყველას იქ უგროვდნენ ხოლმე თავს. საღამოს ცხრა საათამდე ხალხი ასე იდგა და არავინ არ დაუსახელებია. საღამოზე „გამობრძანდნენ“ ბოქაული მიქიაშვილი და სტრაჟნიკი ბერიძე. ამთარჩიეს რამოდენიმე კაცი, უწყალოთ სცემეს და შემდეგ სადღაც დაამწყვდიეს. მიუხედავათ ამისა, ხალხი არავის ასახელებდა და ამგვარ პასუხს აძლევდა: „17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ პოლიციამ სამსახური თავი დაანება და ჩვენც იძულებული ვიყავით თავისათვის გვეპატრონაო. შემდეგ ისევ გამოცხადდა პოლიცია და ჩვენც წინააღმდეგობა არ გაგვიწევიაო“. უფროსებს ხალხის მაინც არა სჯეროდა და დაჟინებით მოითხოვდა ორგანიზაციის წევრებს.

ამგვარათ 2 ნოემბერს ღამის 11 საათზე ხალხი სიმშილით და სიცივით მოქანცული დაგსტოვე. ამ დრომდე ხალხს არავინ დაუსახელებია.

დამსწრე.

—

**ნიგოითი** (გურია). როგორც სხვა საზოგადოებებში, ისე ჩვენშიაც არსებობს ორკლასიანი პირველდაწყებითი სკოლა. ეს, რასაკვირველია, დიდათ საჭირო დაწესებულებაა საზოგადოებაში მუოთ ღარიბთათვის. მდიდრები, ხომ იცით, ეს სასოფლო სასწავლებელიც რომ არ დაურჩეთ, მაინც უსწავლელს არ დატოვებენ თავის შვილებს. წაიყვანენ სადმე ქალაქში და იქ მიაბარებენ სასწავლებელში. სულ სხვაა ღარიბი ხალხის საქმე; ღარიბი მდიდარს ვერ მიბაძავს უსახსრობის გამო. დარჩენია ეს სასოფლო სკოლა, სადაც მას იაფათ უჯდება ბავშვის სწავლება. ამის შემდეგ აშკარაა, რომ ღარიბები უფრო დაინტერესებული უნდა იყვნენ ამ სასოფლო სკოლის არსებობაში, ვინემ მდიდრები. უსწავლელობა თუ რა მავნებელია კაცისთვის, ამის მტკიცება არ დაგვჭირდება. ყველა შეგნებული პირი უნდა ცდილობდეს ყველა საზოგადოებაში საყოველთაო სწავლის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანას... მარა ჩვენ საყოველთაო სწავლებაზე ვლაპარაკობთ და ჩვენი საზოგადოება კი ყურსაც არ აპარტყუნებს როცა სასწავლებლის კარებს სულ დაკეტილს ხედავს. როცა ამის თაობაზე ვლაპარაკობთ, ისე ისმენენ, თითქო ეს ახირებული რამე იყოს. მოვაგონებთ ნიგოითლებს, რომ ყველაზე უფრო საჭირო საქმე, რომლის შესრულებასაც ისინი შესძლებენ, ეს სკოლის გახსნაა და დროა ახლა მაინც გამოიღვიძონ ყური და იზრუნონ სწავლის დაწყებაზე. მართალია დღეს საზოგადოება ნივთიერის მხრივ ძალიან კრიტიკულ მდგომარეობაშია იმყოფება, მარა მაინც გიმეორებთ: ყველაფერის მოთმენა შეიძლება და უსწავლელობა კი არა, და განმეორებით მოუწოდებთ საზოგადოებას ნუ შეხედავს ამ სკოლის საქმეს გულ-გრილათ. იმედია საზოგადოება არ დატოვებს ამ უსაჭიროეს საგანს უყურადღებოთ.

ბ.—იონ.

—

**სოხუმი.** ძნელათ ნახავთ ისეთ ქალაქს, როგორიც სოხუმია; პირველისავე გაცნობით დარწმუნდებით, რომ ეს უფრო სოფელია, ვიდრე ქალაქი: ისეთივე გონებრივი სიდამპლე; ისეთივე ჩამორჩენილობა ყველაფერში! ყველა თავის სოროებში ჩამძვრალა და იქიდან უყურებს ქვეყანას; საერთო მას სხვებთან არაფერი აქვს და არც უნდა, რომ ქონდეს. ქვეყანაც რომ დაინგრეს მის გარშემო, სოხუმისვის ეს არაფერია, ის მაინც უძრავლი დარჩება! ცხოვრება აქ თითქოს შეჩერებულია, წინსვლა სრულიად არ ეტყობა. აქ თითქმის ნასახიც არ მოიპოვება საზოგადოებრივი ცხოვრების; კლუბი და ჭორიკანობა—აი რაში იხარჯება აქაურების დრო. „ფორმისათვის“ გაზეთებსაც კითხულობენ, მაგრამ ეს მათ გონებას არ ეკარება: მათი სული და გული სხვა რამეს შეუპყრავს, მათი ოცნება სხვა ქვეყანაში ტრიალებს: ფული და მოსვენება „ჭამობაა და ძილობაა“—აი აქაურების იდეალი. ეს მოწამლული ჭაგრი ყველაფერს ახრჩობს, რასაც კი სიცოცხლის ნიშანი აჩნია. ერთი სიტყვით, სოხუმს სძინავს, როდესაც გარშემო ყველაფერი ფხიზლობს და რაღაცისთვის ემზადება...

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ აქაური თვითმართველობაც მიძინებულია და გაღვიძებას მაინც და მაინც არ ჩქარობს... ან და ვინ უნდა ჩაუდგეს მას სული? ქალაქის თავი—ცნობილი ნიკო თვადგირიძე—პეტერბურგში დასეირნობს და იქიდან სოხუმლებს გაკეთებას პირდება. აქაურებსაც სჯერათ ნიკოს ფიცი და ელიან ნიკო პეტერბურგიდან ფულით დატვირთული ჩამოვა და „ფოსტას“ და რკინის გზას გაგვიკეთებსო. ნიკოც ხედავს, რომ სოხუმლებს საქმე არ უყვართ და დაპირებით კმაყოფილდებიან, ხედავს ამას და ათასგვარი პროექტებით და დაპირებებით თავის დუდუკზე ათამაშებს. შარშანაც გაეხდათ ნიკო პეტერბურგში და 53000 მანეთის სესხი მოუზოვა სოხუმს (რასაკვირველია, დაპირებით!), თუმცა 53 ათასი კი არა, 53 კაპეიკიც არ უნახავთ სოხუმლებს. ბიუროკრატიამ ერთხელ მოატყუა ნიკო, მაგრამ ეს „პროექტების შემოქმედი“ წელსაც ბიუროკრატიას ემუდარება პეტერბურგში. „ყვავს არ ქონდა ბუს გქონდაო“ ესაა, თუ გინდათ. გაკოტრებული ბიუროკრატია ფულისთვის იკლავს თავს და ნიკო კი მას შემწეობას სთხოვს!? ნიკოს სასწაულთ მოქმედება კიდევ სჯერათ აქ ბევრს. ეს კია, რომ ნიკო როგორც წავიდა, ალბათ, ისე ხელცარიელი ჩამოვა და სოხუმში ძველებურათ ქეიფზე დასძახებს: „ასარა, ასარა, ასარა, ჩემა სამშობლო ის არი!“

არჩევნები სოხუმს არ აინტერესებს. ქალაქის გამგეობამ მხოლოდ ერთად ერთი განცხადება გამოსცა, სადაც მუშამდლებს საარჩევნო ფურცლისაკენ იწვევდა და ამით გაათავა თავისი მოღვაწეობა. ცალკე ბინა აქვთ, ცალკე სახლათ გადაიქცა, „სარაია“ (მეშის სარჯობი) მოუმატა,—ასე რომ თუ ვინმე ბინის დამქირავებელს უნდა ხმის შოვნა მას უნდა ჰქონდეს ცალკე სახლი, -ვადაფური მოწყობილობით და ოთხას უნდა აქირავებდეს, ეს აღმოაჩინა ერთმა გამგეობის წევრმა, დანამდვილებით არ ვიცი, რომელია. ჩვენ სენატის განმარტებები გვიკვირდა და ნუ იტყვით, აქაურმა ბიუროკრატიის მაჩანჩალამ არც ეს იკმარა და თავისი უაზრო განმარტებით თითქმის მთელი ბინების დამქირავებელთ ხმა წაართვა. პოლიციაც, რასაკვირველია, გამხნევებული ამნაირი „განმარტებით“, ვინც მას მოეწონება იმას აძლევს ხმას, აქ კანონი არაფერ შუაშია. აქაური პრისტავის, სკორიკოვის, აზრით არ კმარა მარტო ცალკე „სახლი“ და კუხნა როგორც ეს გამგეობის წევრმა განმარტა,—ბინის დამქირავებელს ცოლი უნდა ჰყავდეს. ასე, ამნაირათ, მან ზოგს დაუხია მოწმობა, ბინის პატრონებისაგან აღებული, ზოგს პირდაპირ უარი უთხრა. ზოგის მცირეწლოვანობა მოიმიზეზა, თუმცა 27 წლის ქე იყო; ზოგს ცოლის შერთვა მოსთხოვა და სხვ. და ასე გასტუმრა; ამათ გარდა ვინც დარჩა, მათ უთხრა, ჩემი საქმე არ არის ბინის შემოწმებაო, ეს პოლიცმეისტერმა უნდა გააკეთოსო, პოლიცმეისტერი კი ავათ იყო და მასთან წასვლას სკორიკოვი ყველას უშლიდა. ერთი სიტყვით აუტანელ წვალებაში ჩავარდა საწყალი ბინის დამქირავებელი: მას ყველასთან დაურჩა საქმე: პოლიცია „უპრავაში“ აგზავნიდა, უპრავა კი პოლიციაში; აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ მას არავინ ყურადღება არ მიაქცია! მას პირდა პოლიცია, პირდა უპრავა და ამ დაპირებებში დროც გავიდა!..

ასე მუშაობს საზოგადოების საკეთილდღეოთ „გამგეობის წევრი“ და პრ. სკორიკოვი!

საზოგადოებას მათი მოქმედება სულ არ აწუხებს; თვითონ იყოს კარგათ და სხვა რა საფიქრალია!!

ალბათ ძილშია არიან! ლ—ი.

## მ უ შ ა თ ა შ ო რ ი ს.

**ბათუმელ მკერვალთა ცხოვრებიდან.** წინანდელ წერილში მქონდა აღნიშნული თუ რა პასუხი გაგვცეს ამხ. სომხებმა, როდესაც მოვიწვიეთ ისინი პროფესიონალური კავშირის შესაკრელათ, როგორც ამას თხოულობს საზოგადოთ მუშათა ინტერესი. მათ გვიპასუხეს, ჩვენ, სომხები ცალკე შევიკრიბებით და შევკრავთ ცალკე პროფესიონალურ კავშირსო, და მეცნიერულადაც გვიმტკიცებდნენ, რომ მუშათა ინტერესი სწორეთ ამას მოითხოვსო. მაგრამ ცხოვრებამ სულ სხვა დაამტკიცა. ჩვენ, ასე თუ ისე, შევკარით პროფესიონალური კავშირი, რომელშიაც შედიოდა ყველა ნაციები, გარდა სომხებისა. ახლა ვიკითხოთ შეკრეს თუ არა სომხებმა პროფესიონალური კავშირი? არა! მათი სიტყვა დარჩა სიტყვათ „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ ისინი დარწმუნდნენ ასეთ ნაციონალურ პროფესიონალურ კავშირის უვარგისობაში და იძულებული გახდნენ შემოსულიყვნენ ჩვენთან პროფესიონალურ კავშირში ერთათ სამოქმედოთ. მართალი ხართ თქვენ, ამხანაგო სომხებო, როცა ყველა მუშებს ყურთდებით, მხოლოდ სტყუიან ისინი, ვინც გითითებდათ ნაციონალურ პროფესიონალურ კავშირისაკენ.

ახლა ორიოდე სიტყვას ჩვენს შინაურ მდგომარეობაზედაც ვიტყვი.

უმთავრესათ ნაჭრობით მუშაობა გავრცელებულია. იგი ბევრი მხრითაა საზარალო და მავნებელი მუშებისათვის; მტაცებლობასაც კი აჩვევს ის მუშებს. აი, მაგალითათ, ქარგლები მოჩერებიან კარებს აბა ვის გამოუტანს ადა საქმეს. რა თქმა უნდა საქმეს ის მიიღებს, რომელთანაც ადას კარგი განწყობილება აქვს. ეს იწვევს ამხანაგებს შორის უკმაყოფილებას. ერთი ამბობს, ეს ნაჭერი მე მეკუთვნოდაო. მეორე ამბობს, შენ კი არა მე მეკუთვნოდაო და ასე ამ რიგათ ატარებენ დღეებს და ღამე კი შეუწყვეტლათ მუშაობენ. ის კი ვერ შეუმჩნევიათ, თუ რამდენათ მავნებელია კაცისთვის ღამე მუშაობა.

ეს სიხარბე და მტაცებლობა იქამდის მიდის, რომ ერთი რომელიმე ქარგალი რომ აიღებს ხელში ძაფს კბილით მოსაწყვეტათ მთელ სახელოსნოს გადაათვალიერებს. აბა ჩემზე მეტი საქმე ხომ არავის დაუმზადებიაო, და თუ შეატყო, სხვას მეტი საქმე გაუთავებია მაშინ ამნაირ ხრიკებს მიმართავს ხოლმე: წამოიწყებს ისეთ ლაპარაკს, რომლითაც ააუბედებს დანარჩენებს და თვითონ კი ამ დროს ჩქარა იმუშავებს! ასე მავნებელია, ამხანაგებო ნაჭრობით მუშაობა! დროა შევიგნოთ ეს ანბანური ჭეშმარიტება, თორემ ამნაირი ქცევით ვერ მივაღწევთ ჩვენს საერთო მიზანს!

ბათუმელი მკერვალი.

—

**თფილისი.** გუშინ 16 ნოემბერს გაიფიცნენ სათავად-აზნაურო სასწავლებლის ახალ შენობაზე მომუშავე 32 დურგალი და თავიანთი მოთხოვნილება წარუდგინეს ამავე შენობის საამშენებლო კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ცხვედაძეს. მუშების მოთხოვნილება შეეხება მხოლოდ ხელფასის მომატებას. აქამდე ღებულობდნენ 1 მ. და 10 კაპ. დაწყებული ორ მანეთ ნახევრამდე, დღეს კი თხოულობენ მომატებას 1 მან. და 40 კაპ. დაწყებული 3 მანეთამდე. როგორც მოსალოდნელი იყო ბ-ნმა ცხვედაძემ თავად-აზნაურთა ჯიბის ინტერესები მაღლა დააყენა მშიერი მუშების ინტერესებზე და გაფიცულებს უარი განუცხადა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. საინტერესო ის არის, რომ ბ-ნი ცხვედაძე უარის თქმის მიზეზათ კომისიას ასახელებს, რომელიც ვითომდა ნებას არ რთავდეს ამ მოთხოვნილებების ასრულებაზე. ხოლო მასწავლებლები სათავად-აზნაურო სასწავლებლისა მუშების კანონიერ მოთხოვნილების უარის ყოფასაც არ სჯერდებიან და პირიქით მუშების ლანძღვა-გინებასაც შესდგომიან. ალბათ იმიტომ, რომ მუშებმა გაბედეს ხმის ამოღება და მშიერი კუჭის დასაკმაყოფილებლათ ორიოდე გროშის მომატება მოითხოვეს. მუშები, ცილის წამებათ ვთვლით მასწავლებლებლების მიერ გავრცელებულ ხმებს, ვითომ ჩვენ (მუშები) არ ვმუშაობდეთ და რასაც ვღებულობთ იმასაც მუქთათ. მოვითხოვთ მასწავლებლებიდან დაამტკიცონ ეს შეუსაბამო ცილისწამება.

დურგალთაგანი

# რუსეთის ამბები

**სტუდენტების დარბევა ოდესაში.** გაზეთ „ტოვარიშჩ“-ს დეპეშით ატყობინებენ ოდესიდან: „9 ნოემბერი. ცოტაოდენი შეჩერების შემდეგ რუსთა კავშირის „თეთრმა გვარდიამ“ ხელ-ახლა დაიწყო სტუდენტებისა და კურსისტკების დარბევა და ცემა. მხეცურათ ცემდნენ რკინის ჯოხებით და რეზინებით, და ბრაუნინგის რევოლვერებით ემუქრებოდნენ. დღეს უნივერსიტეტში მეცადინეობა არ არის. შედგა სტუდენტების კრება, რომელსაც 2000 კაცამდე დაესწრო, და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: სტუდენტობა ამ თავდასხმაში ხედავს რეაქციონურ ძალების მისწრაფებას, რომ ასეთი პროვოკაციით გამოიწვიოს არეულობა და საშიშროება არჩევნების დროს. სტუდენტობა იძულებულია მიმართოს თავის დაცვის საშუალებას“. მთელი დღე პროფესორების საბჭოს სხდომა ქონდა, რომელმაც გაგზავნა დეპუტაცია კაულბარსთან. ამ უკანასკნელმა დეპუტაციას განუცხადა, რომ რუსთა კავშირის მიზანი მას მოწონს, მაგრამ აქტიურ გამოსვლის ნება მას არ ქონია და კავშირის ერთ წევრს სამხედრო-საველე სასამართლოს გადაცემს. საბჭომ გადაწყვიტა ტელეგრამა გაუგზავნოს განათლების მინისტრს და თან დეპუტაციაც გაგზავნოს მასთან მდგომარეობის გამოსარკვევათ.“

**ტულის გუბერნიის თავად-აზნაურობის ერთგულება.** როგორც ვიცით, ტულის გუბერნიის თავად-აზნაურობამ გამორიცხა თავის წოდებიდან ს. ა. მურომცევი, ყოფილი დუმის თავმჯდომარე. ამის შესახებ ერთმა წევრმა ბ. ლევიცკიმ პროტესტი განაცხადა, რის გამოც თავად-აზნაურობამ ბ. ლევიცკის გამორიცხვაც გადაწყვიტა.

**მთავრობა მედუქნეებს პოლიციელების როლს ასრულებინებს.** ამას წინათ ძველი პეტერგოფის სასტუმროების მმართველები, მედუქნეები და სჩაოს პატრონები დაიბარეს საპოლიციო ნაწილში და გამოუცხადეს, რომ თუ ვინმე არა სიამედო პირს შეამჩნევს, რომლებიც მოწოდებას, ან პროკლამაციებს აწოდებს ხალხს, ისინი (მოვაჭრეები) ვალდებული არიან დაიჭირონ ეს „მოღალატე“ პირები და მთავრობას გადასცენო. ამ განკარგულების აუსრულებლობისათვის მათ ჯარიმათ თითოს 3000 მანეთი გადახდებათ.

**მთავრობა შიშმა მოიცვა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სმოლენსკის გუბერნიიდან ცნობები მოსვლია, რომ დუხოვშჩინსკის და მახლობელ მაზრების გლეხებს ერთიანათ გაუნადგურებიათ მებატონეების ტყე და მამული. ყველაზე მეტათ ზარალი მელდერ ზაკომელსკის ტყეს მოსვლია. იქ 210 დესეტინაზე მეტია გაჩეხილი. გუბერნატორის განკარგულებით ამ მაზრებში გაძლიერებული ჯარი და პოლიციელთა დარაჯები იქნა გაგზავნილი.

**სპიჩკის მოთხოვნისთვის სამხედრო-სამართალში მიცემა.** 8 ნოემბერს ვასილიევის კუნძულზე მდგარ პოლიციელთან მისულა ვიღაც უცნობი და პაპიროსისთვის სპიჩკა მოუთხოვნია. პოლიციელს ეს კაცი საეჭვო პირათ მიუღია, უმიშვლებია ხმალი და რამდენიმე ადგილას მძიმეთ დაუჭრია. სისხლისგან დაცლილი უცნობი საავადმყოფოში წაუღიათ, სადაც რამოდენიმე საათის შემდეგ იგი გრძნობაზე მოსულა და გამოუცხადებია თავისი სახელი და გვარი, ვასილ კადეტოვი. მას თურმე სამხედრო-სამართალში აძლევენ „პოლიციელზე თავდასხმისათვის“.

**ყოფილი დუმის ზოგიერთი საბუთები**

---

ცებს, რამდენათ გულუბრყვილოა ის შეხედულება, ვითომც ძალდატანებითი საშუალება და რევოლიუციონური საშუალება ერთი და იგივ იყოს.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ უფრო რევოლიუციონური ის საშუალებაა, რომელიც უფრო ჩქარა გვაახლოებს ჩვენ მიზანს, რევოლიუციას. მაშასადამე, რევოლიუციონურ მოქმედებათ უნდა ჩაითვალოს ისეთი მოქმედება, რომელიც ასუსტებს იმ ძალებს, რომლებზედაც დამყარებულია თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური წესწყობილება და ძალას უმატებს მომავალი წესწყობილების მომხრეებს.

ამ ორი ძალის ურთიერთობრივი დამოკიდებულება განსაზღვრულია იმ ეკონომიური ურთიერთობით, რომელიც არსებობს ამა თუ იმ ქვეყანაში. ამიტომაც რევოლიუციონურ მოქმედებათ უნდა ჩაითვალოს ყოველნაირი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ამ დამოკიდებულების ისეთნაირათ შეცვლას, რომ მას შედეგათ მოჰყვება ახალი წესწყობილების მომხრეების ძალთა ზრდა-მატება, ხოლო საქმე ის არის, რომ შეიძლება რომელიმე საშუალება მართლაც რევოლიუციონური იყოს თვისი შედეგებით; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ რევოლიუციონერებმა ვითომც ამ საშუალებას უნდა მიმართონ.

პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ის რეაქციონური საშუალებები, რომლებსაც ჩვენი მტრები ჩვენ გასანადგურებლად მიმართავენ, მათვე დაატყდებათ ხოლმე თავზე და ჩვენ კი უფრო ძლიერს გვხდის, ვინემ წინეთ ვიყავით. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ასეთ რეაქციონურ მოქმედებას?

სადაც კაპიტალიზმია გამეფებული, უეჭველია, ადრე თუ გვიან, იქ მას თან მოჰყვება აჯანყება არსებული წესწყობილების წინააღმდეგ; კაპიტალიზმი ამავე დროს ამზადებს მომავალი საზოგადოების ეკონომიურ ფაქტორებს და ამრავლებს რა თანაც პროლეტარების რიცხვს, ამავე დროს იგი ბადავს თავის მესაფლავეებსაც. მაგრამ განა შესაწყნარებელია, ამისთვის უფალ კაპიტალისტებს რევოლიუციონერები ვუწოდოთ!

როდესაც კაპიტალისტები ეკონომიურ განვითარებას ხელს უწყობენ და მით თანამედროვე წესწყობილებას ალსასრულისკენ მიერეკებიან, როცა იგინი მომავალი რევოლიუციის ელემენტებს ამზადებენ, ამას ჩადიან იგინი უნებლიეთ, შეუგნებლათ. ხოლო რამდენათ კაპიტალისტები შეგნებულათ მოქმედებენ, მათი მოქმედება უკიდურესათ კონსერვატულია; რამდენათაც მათზეა დამოკიდებული საქმე, იგინი ყოველ ღონეს და საშუალებას ხმარობენ, რომ უკმაყოფილება ხელი არ ახლონ არსებულ წესრიგს; ჩვენ ვიცით რა ძვირათ უჯდება პროლეტარიატს, როცა იგი შეარყევს ხოლმე თანამედროვე ცხოვრებას. ცხადია, ასეთნაირ მოქმედებას რევოლიუციონურ საქმესთან საერთო არა აქვს რა.

მეორე მაგალითი. ანარქისტები—ჩვენ აქ ნამდვილ ანარქისტებზე ვლაპარაკობთ—თავისი მიმართულებით რევოლიუციის მომხრენი არიან. ნამდვილათ კი იგინი თავიანთი მოქმედებით ემსახურებიან რეაქციის მიზნებს.

კაპიტალისტები რომელნიც statu quo-ს მომხრენი არიან და რომელნიც ცდილობენ, რომ უცვლელათ დაიცვან არსებული წესრიგი, წინააღმდეგ თავიანთი სურვილისა, ნამდვილათ აჩქარებენ რევოლიუციის სვლას ანარქისტები არიან მეამბოხეები, კაპიტალისტები არსებულის დარაჯნი: ერთიც და მეორენიც ძლიერ შორს არიან რევოლიუციონერობისაგან.

რევოლიუციონური მხოლოდ ის მოქმედებაა, რომელიც ერთის მხრით ზრდის რევოლიუციის ძალას და მეორე მხრით შეეფერება იმის განზრახვას, ვინც ამ მოქმედების ადგია.

**დაიკარგა.** ამ დღეებში სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი შეეკითხა სახელმწიფო კანცელარიის საქმის მწარმოებელს, გლინკას დუმის კანცელარიიდან საქმეების დაკარგვის შესახებ. დაკარგულია ყველა საბუთები და მთელი მასალა, რომელსაც თავი მოუყარეს ყოფილმა დეპუტატებმა არაკანცევმა, იაკუბსონმა და შჩეპკინმა ბელასტოკის დარბევის შესახებ. გლინკას გარდა ბევრ მოსამსახურეებს გამოკითხეს ამ საბუთების დაკარგვის შესახებ, მაგრამ ვერაფერი გაიგეს, სად არის დღეს ეს საბუთები.

**მოწინავე მწერალიც ასეთი უნდა!** გენერალ სენკევიჩს და წერილით მიუმართავს ზომიერი პარტიებისთვის და მოუწოდებს მათ შეერთებული ძალებით ენერგიულათ ებრძოლონ რევოლუციას და ანარხიას და მით დაიცვან ხალხის, ეკლესიის და სამშობლოს ჭეშმარიტი თავისუფლება“ ამ წერილში სენკევიჩი რუსეთის რევოლუციას „საზიზღარს“ უწოდებს, რამაც ძალიან ჩააფიქრა თურმე პოლონელი საზოგადოება. ასე გასინჯეთ რეაქციონურ პოლონელ ორგანოებსაც კი გაუკიცხავს ეს წერილი.

**საოცარი გარდაქმნა.** ზაბაიკალის რკინის გზამ ძველა ფოკუსნიკებს გაუსწრო დედამიწის ზურგზე გარდაქმნის საქმეში. 14 ოქტომბერს საქონლის მატარებლით საქონლის სადგურის ბინაზე ერთი ვაგონი მოაყენეს ვაშლებით დატვირთული. მუშებმა გახსნეს ვაგონი და... ჰო საკვირველებავ! ვაგონში ვაშლების მაგივრათ კუბო აღმოჩნდა ცხედრით და გვირგვინით. როგორც გვირგვინზე წარწერით დამტკიცდა, პოლკოვნიკის ცხედარი ერთი წელიწადია (1905 წლიდან) დასეირნობს თურმე ამ რკინის გზაზე. სამსახურის თავდარიგიც ამას ქვიან!

# უცხოეთი

**ავსტრია.** 19 ნოემბერს (ახ. სტ.) ქ. ლვოვში გაიმართა დიდი სახალხო კრება, რომელსაც მიზნათ ქონდა პროტესტი გამოეცხადებია მთავრობისათვის, რადგან ის საშინლათ დევნის გალიციაში რუსეთის ქვეშევრდომებს.

დოქტორმა განკევიჩმა თავის სიტყვაში მიაქცია მსმენელთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ ავსტრიის მთავრობა სწორეთ ნადირობას ეწევა რუსეთიდან გადმოხვეწილ ემიგრანტებზე და ჩვენში მოსწავლე რუსეთელ სტუდენტებსაც ითხოვს უნივერსიტეტიდანო. რუსეთის მთავრობის მოთხოვნით დაჭერილია ექიმი კრაშევიჩი.. ბროდაში რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავეები დაიჭირეს, რუსეთიდან გამოქცეულნი, და უკანვე რუსეთს დაუბრუნესო.

ორატორი იმ აზრისაა, რომ რუსეთის ქვეშევრდომთა დევნა ავსტრიაში გახშირდა მას აქეთ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრათ ბარონ ერენტალი იქნა დანიშნულიო.

კრებამ პროტესტი განუცხადა ავსტრიის მთავრობას რუსეთის მთავრობის დახმარებისათვის და თანაგრძნობა გამოუცხადა თავისუფლებისათვის მებრძოლთ. ამასთანავე კრებამ დაადგინა, რომ უოველიგე მოქალაქე ვალდებულია დახმარება და სტუმართ-მოყვარეობა გაუწიოს რუსეთიდან გადმოხვეწილ მებრძოლთ.

ახლა, როგორც დეპეშებმა გადმოგვცეს, ექიმი კრაშევიჩის გაცემაზე ავსტრიამ უკვე უარი განუცხადა რუსეთს.

**გერმანია.** ამას წინათ პოზნანის არხიეპისკოპოსმა სტაბლევსკიმ პეტიცია გაგზავნა იმპერატორის სახელზე და სთხოვა მას, რომ პოლონელ ბავშვებს სამღვთო სჯულის დედა ენაზე სწავლების ნება მისცემოდა. ეს პეტიცია, რომელზედაც ათასზე მეტ პოლონელს და მრავალ ნემცებს ეწერა ხელი, იმპერატორმა კულტის მინისტრს შტუდტს გადასცა, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ბევრი აღარ დააყოვნა და უარი სტკიცა არხიეპისკოპოსს. ამაზე პოლონელმა სამღვდელოებამ მთავრობას ახალი ინსტრუქციით უპასუხა, რომლითაც ევალება კათოლიკეთა საზოგადოების უოველი ღონის ძიებით ებრძოლოს გერმანიის სასკოლო კანონს. „ხარკები და ბაჟები, რომლებსაც თქვენ უხმოთ იხდით, ეს ვალდებულებაა იმპერატორისადმი—მიეცით კეისრის კეისარსა და ღმერთისა ღმერთსა. იმპერატორს თქვენ კიდევ მეტსაც აძლევთ—აძლევთ თქვენ სისხლს, თქვენს შვილებს მამულის დასაცველათ. მაგრამ თქვენი სარწმუნოება—ეს ვალდებულებაა ღვთისადმი და შეუძლებელია ის ვინმეს ხარკათ ან ბაჟათ მიეცესო“.

აშკარაა, პოლონეთის სამღვდელოება თავის მიზნისათვის სარგებლობს ეროვნული ბრძოლით... პოლონელთა დეპუტატებმა გადაწყვიტეს შეეკითხონ რეიხსტაგში სასკოლო კანონის და იმ მსაჯულთა დადგენილების შესახებ, რომლითაც უოველ პოლონელ მშრომელს უფლება ერთმევა თავის სახლში აღზარდოს ბავშვი, თუ სასკოლო კანონს არ დაემორჩილება.

## წერილები რედაქციის მიმართ *)

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვიწვიოთ საზოგადოების წინაშე ყველა ის პირები, რომლებიც ცილს გვწამებდა ჩვენ სამ. ამხანაგს გ. თოდრიას, ვასილ ქ'ებუას და ალექსანდრე ხუნდაძეს გაზეთ „ჩვენი ცხოვრების“ № 4-ში, ვითომ ჩვენ, ზემოხსენებული პირები აგენტები ვიყავით ვიღაც ნიჟარაძის და მასთან გვასახელებს ძნელაძეების მეთაურათ, ვითომ ჩვენ ხელს უწყობდით მათ მოქმედებას; ნამდვილათ კი ჩვენ ზიზღი გამოუცხადეთ, მათ რადგან ჩვენი პარტიის ჩირქის მომცხები იყო მათი უსინდისო მოქმედება. ეხლა საშუალება გვეძლევა გამოვიწვიოთ სახალხოთ ყველა ის პირები, ვინც ხელს აწერს ჩვენს ცილის წამებას ესენი არიან: 1) ვარლამ ქ. კალანდარიშვილი 2) ბიქტორ ქორქოლიანი. ამხანაგების მინდობილობით.

გიორგი თოდრია.

—

გაზეთ „ნაპერწკალის“ მეორე ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი მასწავლებლის ბაგ. მჭედლიძისა, რომელიც ბრალს მდებდა რომ ვითომც 1) ადგილი წავართვი მას, 2) არ დავთანხმდი სამედიატორო სასამართლოზე, რომელზედაც გამოგვიწვია ბ. გ. მჭედლიძემ მე, ინსპექტორი ფოთის სამოქალაქო სასწავლებლისა დ. კონონოვი, მასწავლებელნი: კატუროვი, კასტორნი, ვინოგრადოვი, მამულიანცი, ჩხაიძე და კატუროვისა. და 3) რომ მე ვ. მახარაძე რეაქციის პირმშოშვილი ვარ.

ამ ბრალდებაზე მოვახსენებ ბაგ. მჭედლიძეს შემდეგს: 1) მტკნარი სიცრუეა, ვითომ მე ადგილი წავართვი ბაგ. მჭედლიძეს. თუ მე ეხლა ადგილი მაქვს ქართული ენის მასწავლებლისა სამოქალაქო სასწავლებელში, ეს კიდევ მას არ ამტკიცებს, რომ მე ადგილი წამერთმიოს მისთვის.

საქმე ასე გახლდათ. ბაგ. მჭედლიძის დათხოვნით დაიცალა სასწავლებელში ადგილი, რომელზედაც დანიშნულ იქმნა ბ. გრიაზნოვი 1906 წლის 14 ივლისს. შემდეგ ამავე სასწავლებლის მასწავლებელი ბ. მამულოვი გადაყვანილ იქმნა ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში. ეს მოხდა 1906 წელს 5 აგვისტოს. ამ გზით ფოთის სასწავლებელში დაიცალა შტატის ადგილი, რომელზედაც გადავიდა ბ. გრიაზნოვი. არც პირველ შემთხვევაში დაარც მეორეში, თუმცა ამ გვარად ორჯერ დაიცალა ქართულ ენის მასწავლებლის ადგილი, მე იგი არ მითხოვნია. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ადგილი მეორეს მოსვლამდე თავისუფალი არ დარჩებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბაგ. მჭედლიძეს დათხოვნით ქართული ენა აღარავის ესწავლა. 21 აგვისტოს ამავე 1906 წელს ამ ადგილზე წარუდგინა ქუთაისის სახალხო სასწავლებლების უფროსს დასამტკიცებლად ფოთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა ბ. ნესტორ ფხაკაძე, ვსთხოვე ეს ადგილი მეც და ადგილი მე მომცეს. ჩვენ ორში, რომელთაც ორივეს გვსურდა ადგილის მიღება, რათა ვარ მარტო მე დამნაშავე, რომ ადგილი მე მომცეს, ეს მხოლოდ ბაგ. მჭედლიძის ლოღიკას ეცოდინება.

2) ბაგ. მჭედლიძემ გამოგვიწვია სამედიატორო სამართალში: ინსპექტორი კონონოვი, მასწავლებელნი: კატუროვი, კასტორნი, ვინოგრადოვი, მამულიანცი, ჩხაიძე, კატუროვისა და თქვენი უმორჩილესი მონა ვ. მახარაძე, რომლის თანამოაზრეთ უწოდებს ბაგ. მჭედლიძე ყველა ზემოხსენებულთ. ამათგან ერთმა, ბ. ჩხაიძემ, თანხმობა გამოაცხადა სამედიატორო სამართალზე, მაგრამ ბაგ. მჭედლიძემ ეს აღარ ინება. ამიტომ და კიდევ იმ მიზეზის გამო, რომ ყველა ზემოხსენებულნი, ვინც ბაგ. მჭედლიძემ გამოიწვია სამედიატორო სამართალში, ჯერ ვერ შეთანხმდნენ იმაში, საჭიროა თუ არა ბაგ. მჭედლიძესთან გასვლა სასამართლოში, მე აქამდე გაჩუმებული ვიყავი, მაგრამ საზოგადოებას მომჩივარი რომ მართალი არ ეგონოს, მზათა ვარ გავიდე სამართალში ბაგ. მჭედლიძესთან. ვთხოვ ისე არ წაიყრუოს ყური და უარი არა სთქვას, როგორც ჩხაიძესთან და დაუყოვნებლივ დაასახელოს მედიატორები და მეც ჩემის მხრივ დაუყოვნებლივ დავასახელებ.

3) რაც შეეხება იმას, რომ ბაგ. მჭედლიძემ რეაქციის პირმშოშვილი მიწოდა, ამაზედ არაფერს ვიტყვი, რადგანაც ამ ბრალდებას ვერაფრით დაასაბუთებს იმის გარდა, რომ ამ ჟამად ქართული ენის გაკვეთილები მე მაქვს და არა მჭედლიძეს.

მღ. ვ. მახარაძე.

*) ამ წერილის დაბეჭდვა სხვადასხვა მიზეზების გამო დაგვიანდა.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

15 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მიუხედავათ უმაღლეს ბრძანებისა განხილულ იქნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ საკითხი სრულიად რუსეთის მსოფლიო კრებაზე, სინოდს აზრათ აქვს შეიმუშაოს სხვადასხვა ზომები საექსარხოსოს სასულიერო საქმეთა და სკოლების მოწყობის შესახებ: 1) რადგან აღდგენილ იქნა ყველა ეპარქიებში ეპისკოპოსების სრული უფლებები, ამიტომ ეხლავე გადაკეთდეს იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიები დამოუკიდებელ ეპარქიათ; ყველა დამოუკიდებელ ეპისკოპოსებთან დაარსდეს საეპარქიო გამგეობა; ქართლ-კახეთის და იმერეთის სინოდალური კანტორა გადაკეთდეს ისე რომ სამი მუდმივი წევრით ასრულებდეს კონსისტორიის საქმეებს საექსარხოსოში, ხოლო ყველა ეპისკოპოსები, რომლებიც შედიან კანტორაში როგორც წევრები ეგზარხის თავმჯდომარეობით, შეასრულებენ სასულიერო დაწესებულების საქმეებს, რომელთაც ექვემდებარება საექსარხოსოს ყველა ეპარქიები. კანტორის წევრებს, საჭიროების და გვარათ მოუწოდებს ეგზარხოსი წელიწადში ორჯერ ან სამჯერ. კანტორას ექვემდებარება: საზოგადო ზომების განხილვა კავკასიაში ქრისტიანობის დაცვის და გავრცელების შესახებ და მწყემსთა და სამწყსოს ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ამაღლება, ეპისკოპოსების ადმინისტრატიულ განკარგულებებზე საჩივრების განხილვა სასულიერო პირთა საჩივრის ეპისკოპოსებზე, საქმეები ეპარქიებ შორის იმ ფულების გასანაწილებლათ, რომელიც გადადებულია ხაზინის და სინოდის სპეციალურ თანხიდან ყველა ამ საქმეების შესახებ ეპისკოპოზებს განცხადებები შეაქვთ სინოდში ეგზარხის შუამდგომლობით. 2, დააჩქარონ საეკლესიო სკოლების დაარსება; 3, გააფართოონ ქართულ საეკლესიო ენის და გალობის სწავლება, სლავიანურ-ენის მაგიერ მიიღონ ზომები შეაჩვიონ მოწაფეები ადგილობრივ ენებზე ქადაგებას და წირვის წესებს; 4, შეადგინონ ადგილობრივ კომისია დაბადების ადგილობრივ ენებზე გადასათარგმნათ.

**ტულონი.** შუაღამისას ტანჟერისკენ წავიდა ესკადრა ადმირალ ტუშარის მეთაურობით.

**ვარშავა.** ოფიციალურ ცნობებით გუშინ დაიჭირეს რვა კაცისაგან შემდგარი პოლშის და ლიტვის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ბიურო. კრაკოვში აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა. დაიჭირეს სამი. აღმოაჩინეს აგრეთვე სტამბა ტაშკას ქუჩაზე დაიჭირეს ოთხი კაცი.

**ბრიუსელი.** პალატა. ტრიბუნები მთლათ გაჭედილია. მთელი დიპლომატიური კორპუსი დაესწრო. საგარეო საქმეთა მინისტრმა შეკითხვაზე პასუხი გასცა. მან განაცხადა; რომ ბელგიას არავითარი წინადადება არ მიუღია ინგლისიდან ბელგიის კონგოსთან დამოკიდებულების შესახებ. მთავრობას კარგათ ესმის თავის უფლებები კონგოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს შესახებ და ვაჭრობის თავისუფლების დროს ერთ პირდაპირ გზას დაადგება, რომელსაც უჩვენებს მა. მისი ინტერესები.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში ვინცენტმა ყურადღება მიაქცია ერთ შემთხვევას რუსეთის ქვეშევრდომ ზინგერის შესახებ, რომელსაც ნება მისცეს ინგლისში გადმოსვლა, როგორც პოლიტიკურ გადმოხვეწილს. ის ამტკიცებდა რუსეთის რევოლიუციონურ პარტიას ვეკუთვნიო და თუმცა არავითარი სახსარი არ ქონდა, თან ავათაც იყო, და არა სასურველი ემიგრანტი იყო ინგლისისთვის, მაგრამ მაინც ნება მისცეს გადმოსვლის.—მინისტრ გლადსტონმა უპასუხა, რომ ემიგრანტს არ შეუძლია მოითხოვოს მისცენ ნება ინგლისში გადმოსვლის, როგორც პოლიტიკურმა გადმოხვეწილმა, თუ მას (ემიგრანტს) მკვლელობა ჩაუდენია. ასეთ პირებს ნუ ექნება ინგლისში გადმოსვლის.

**შანხაი.** უცხოეთის წარმომადგენლების საერთაშორისო კომიტეტი მიმართავს ევროპას და ამერიკას თხოვნით შემწეობა აღმოუჩინონ და შიმშილით სიკვდილისაგან დაიხსნან ათი მილიონი მცხოვრები კიანგსუს პროვინციაში, სადაც წყალდიდობის გამო 305,000 ოთხ-კუთხ მილზე მოსავალი სულ გაფუჭებულია.

**ეკატერინოსლავი.** დილით კაზაკს ქუჩაზე შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა კაცს, რომელსაც ოთხი პოლიტიკური ტუსაღი მიყავდა. ოთხივე გაანთავისუფლეს და გაიქცენ. ერთი სალდათი დაჭრილია.—ადგილობრივ ნოქრებმა შეიმუშავეს წესდება ეკატერინოსლავის, ხერსონის, პოდოლის, ტავრიჩესკის, კიევის და ბესარაბიის ნოქართა ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოების შესახებ. გამგეობა ოდესაში იქნება.

**ხაბაროვსკი.** სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩვეს რვა ჩინელი, რომელთაც კორეიელების ერთ ოჯახზე თავდასხმას აბრალებდენ. თავდასხმის დროს მთელი ოჯახი ამოწყვიტეს და სახლი დასწვეს.

**ლონდონი.** „სტანდარტს“ ატყობინებენ კობედან, რომ ომის შემდეგ დარჩენილი მცურავი ნაღმი ზღვას ნაპირზე გამოუგდია და გასკდარა. მოკლულია 10 და დაჭრილი 56 კაცი.

**ნოვგოროდი.** სოფელ ლიაპინოში პოლიციამ გაჩხრიკა დუმის ყოფილი წევრი გლეხი დიმიტრი ვასილიევი. წაიღეს წიგნაკები და წერილები.

**მოსკოვი.** სასამართლო პალატაში, წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით დაიწყო დეკემბრის აჯანყების საქმის განხილვა. ბრალს სდებენ 32 კაცს, მე-100, 1454, 9 და 1140 მუხლების ძალით. მოწმეებათ მოწვეულია 400 კაცი. ბევრი არ გამოცხადდა. საბრალმდებლო ოქმი ასი გვერდია, სადაც დაწვრილებით მოყვანილია რევოლიუციონურ პარტიების რეზოლიუციები, დადგენილებები და მოწოდებები. შეიარაღებულ აჯანყების საჭიროების შესახებ. იქვე აღნიშნულია 7 დეკემბრიდან 29 დეკემბრამდე 1905 წლის მომხდარი ტერორისტული აქტები მოსკოვში.

**ბელასტოკი.** უბნის ზედამხედველის მოკვლის გამზრახველს სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. სასჯელი დღეს სისრულეში მოიყვანეს. დამნაშავემ უარი სთქვა თავის ვინაობაზე.

**ფეოდოსია.** გენერალ დავიდოვის მოკვლის გამზრახველს სამხედრო საველე სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

**ირკუტსკი.** ჩიტის პოლიცმეისტერის მკვლელები ამანეთი, ბოჩაროვი და ვაჭრის შვილი კოსტინი სამხედრო სამართალში მისცენ. ბოჩაროვს ამას გარდა კიდევ აბრალებდენ დაჭერის დროს შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევას და ყუმბარის სროლას.—სადგურ ჩიტაზე მანუკოვის ოჯახის დახოცვისათვის სამხედრო სამართალში მისცეს შვიდი კაცი მათ შორის სამი ქალია.

**ვარშავა.** რეალურ პოლიტიკის პარტიის წარმომადგენლების ინიციატორობით ვარშავაში მოვიდა 100-მდე მემამულე აგრარულ რეფორმების შემოღების პროექტის შესამუშავებლათ. თავმჯდომარეთ აირჩიეს იოსებ ოსტროვსკი.

**პიატიგორსკი.** ესსენტუკში თავის სახლში მივიდა ვოლგის პოლკის კაზაკი კონაკოვი, რომელმაც თან მოიყვანა თავისი საყვარელი, ყელი გამოსჭრა მას და თავის ამხანაგ გლეხს, რომელსაც უნდოდა მკვლელისთვის იარაღის წართმევა.

**კაგიზმანი.** დღისით სამმა უცნობმა ქვა დაკრა თავში ვაჭარ ტიურნოვს და შემდეგ, როცა ის წაიქცა, ყელი გამოსჭრეს. ორი დაიჭირეს.

**ხარკოვი.** სამხრეთის სამთო სამრეწველოთა პატრონების მეოცდათერთმეტე სიეზდი მოხდა ვაგნერის თავმჯდომარეობით.

**ნიკოლაევი.** დაიჭირეს „შავი ყვავის“ ბრბო—ოთხი კაცი და ერთი ქალი. დაიჭირეს აგრეთვე უბნის ზედამხედველ მედვედიევის მკვლელი.

**პეტერბურგი** სამხედრო-საოლქო სასამართლომ გლეხ მიტინს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა შემნახველ-გამსესხებელ კასებზე თავდასხმისთვის.—სასამართლო პალატამ სტუდენტ გოლდბერგს, რომლის ბინაზე რევოლვერები, პატრონები და სხვა აღმოაჩინეს, სამუდამოთ გადასახლება გადაუწყვიტა.

**ბერლინი** რეიხსტაგში განიხილეს აფრიკის ახალშენებისთვის ახალი დამატებით თანხის გადადების შესახებ საკითხი. ბიულოვმა სიტყვა წარმოსთქვა. მან განაცხადა, რომ მტერი დამარცხებულა მხოლოდ 3 წლის ბრძოლის შემდეგ. ახალშენებზე უარის თქმა შეუძლებელია, საჭიროა დიდი თანხა მათ მოსაწყობათ. ბიულოვი საჭიროთ ხედავს ახალშენების სამინისტროს დაარსების და რეფორმების შემოღებას. პრესამ გადააჭარბა ახალშენების შესახებ სკანდალების ცნობებში. დამნაშავე მოხელეებს მთავრობა სასტიკათ დასჯის.

**მინსკი.** ებრაელთა არჩევნების წინასწარ კრებაზე გადასწყვიტეს დააარსონ არა პარტიული ჯგუფი, მიუხედავათ ამა თუ იმ პარტიისა ყველა ებრაელებს მოუყარონ ერთათ თავი.

**პერმი.** მოტოვილიხინსკის ზავოდში ხელოსან სოსინის ოთახში ფანჯარიდან ყუმბარა შეაგდეს. ყუმბარა გასკდა სოსინი უვნებლათ გადარჩა. ბოროტგამზრახველნი მიიმალენ.

**სევასტოპოლი.** განიზრახეს საზღვაო-სამხედრო სასამართლოს შენობიდან ნოემბრის აჯანყების შესახებ საქმეების მოპარვა. ვერ მოახერხეს, რადგან სასამართლოში მდივანი დაუხვდათ და გაიქცენ. რევოლიუციის მოპარვით ფიქრობდენ საქმის ხელახლა განხილვა მოეხდინათ. როგორც იციან ამას წინათ მოიპარეს მთელი საქმეები და საქმე ხელახლა გამოიძიეს.

**ლონდონი.** გაზეთები იტყობინება, რომ რუსეთის ფონდმა დაიწია. აქ და ბა... ში ოპტიმისტები უყურებენ რუსეთს, იმედით, რომ პოლიტიკურ არეულ... მწვავე ხანა უკვე გათავდა რუსეთში რუსეთი სინდისიერათ შეასრულებს თა... ფინანსიურ ვალდებულებას. ყველაზე ... ტათ 4%-მა რენტამ აიწია.

**პოლტავა.** ლოპვიცკის მაზრაში პრო... სტოროჟენკოს შვილს გუბერნიიდან ... ლებენ. ლუბნის ეკლესიის გამძარცველ... დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** 11 დეკემბერს მოხ... თათბირი ვაჭრობის მინისტრის თავმჯ... მარეობით და მწარმოებლების და დაწ... ბულებების წარმომადგენლების თანდასწ... ბით მუშათა კანონმდებლობის შესახ... პროექტის განსახილველათ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში საარჩ... რეფორმების განხილვის დროს პერგელ... თხოულობს დაიცონ ბოგემიის ნემც... ინტერესები, და მათაც ისეთივე ხმის ... ლება მისცენ, როგორც სლოვიანებს. კრ... ბა პროტესტს აცხადებს.

**ვლადიმირი.** ღამის 11 საათზე 35 ტ... სალმა შეკრა ციხის უფროსი, მისი ორ... თანაშემწე და ყველა ზედამხედველები მოი... ტაცეს 22 რევოლვერი პატრონებით და ს... მი ხმალი. ციხის კანტორაში დაგლიჯ... ტელეფონის მავთულები, გასტეხე ცეც... გაუზი, მოიტაცეს სტატსკური ტანსაცმ... ლები, ციხის უფროსის ბინაზე შეკრეს მთე... ლი მისი ოჯახი, მოიტაცეს ძვირფასი ნივ... თები და გაიქცენ. ერთი ზედამხედველ... დაჭრილია. მიიღეს ენერგიული ზომები მა... დასაჭერათ. ქალაქ ბოგოლიუბოვში დაიჭ... რეს შვიდი. ერთიც ქალაქის ახლო.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრის თა... მჯდომარეობით თათბირმა სასურველ... სცნო ყველა მუშებისთვის ერთი საერ... კანონის გამოცემა. 14 ნოემბერს დაიჭირ... მონტერის თანაშემწე ნიკიფოროვი, რომ... ლის ბინაზე იპოვნეს ყუმბარა და არა-ლ... გალური ლიტერატურა.

რედაქ.-გამომცემელი **ი. ოტიაშვილი.**


# განცხადებანი

**Книжный магазинъ**

**„ОБРАЗОВАНІЕ“**

**Михаиловскій пр. № 78.**

Марксъ. Капиталъ т. I . . . 2 р. 50
„ Положеніе раб. класса въ главнѣйшихъ государ. ствахъ, томъ I . . . 1 „ —
„ За десять лѣтъ практики — „ 50
Авенаріусъ: Критика чистаго опыта — „ 50
В. Базаровъ. Трудъ производительный и трудъ образующій цѣнность . . . — „ 40
Череванинъ. Валентиновъ. Клименти. Крестьянство и социалдемократія . . . . — „ 25
И. Аксельродъ. Русскія революціонныя партіи съ 1898 г. по 1903 г. . . . — „ 20
Кропоткинъ. Парижская коммуна. — „ 20
К. Каутскій. Революціонныя перспективы . . . . — „ 20
Лафаргъ. Американскіе тресты . — „ 20
Г. Дицгенъ. Религія соц.-дем-тіи — „ 12
Богдановъ. Краткій курсъ экономической науки . . — „ 6
Дицгенъ. Завоеваніе философіи . 1 „ —

**Лекціи и рефераты по вопросамъ программы тактики соціалдемократіи:**

Голубковъ. Утопическій и научный соціализмъ . . . . . — „ 1
М. М. Буржуазія и пролетаріатъ въ революц. 1830 года 1840 г. во франціи . — „ 20
Н. Рожковъ. Аграрный вопросъ въ Россіи . . . . — „ 1
„ Капитализмъ и соціализмъ — „ 1
(А. Вольскій) Теорія и практика анархизма . . . . — „ 2

**Цѣлая серія:**

На темы жизни въ брошюрахъ отъ 5 к. 15 коп. около въ 40 выпускахъ.

Наше дѣло №№ 2, 3, 4, 5, 6, и др. вости.

ლ. დელინიერი. საუბარი სოციალიზმზე . . .
ელი. ანარქიზმი და მუშათა კლასი .
ლაფარგი. ისტორიული იდეალიზმი და მატერიალიზმი . .
გედი. კოლექტივიზმი . .
ნ. ჟორდანია. I სოციალ-დემოკრატია.
II დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია . . .

ამ ორი წიგნის გამოწერა, წიგნას გა... ვებს შეუძლიათ შემდეგის ადრესით: Тиф. книжный магазинъ „Образованіе“ ... хаиловскій проспектъ № 78. დე... 25%. გამოწერა შეიძლება ფასდებით.


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ თფილისი, მახვილის ქუჩ, № 65.